ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 27 მაისი, 2020 №115 (8379) ფასი: 60 თეთრი

ირმა ჭკადუა: „ნიკა ბასილაშვილს და მისი ოჯახის წევრებს ნიკა დოროყაშვილზე არ უძალადიათ“



„ოცნება“ უკან არ დაიხევს, მაგრამ მას მაინც დავამარცხებთ“

მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციაში დუღილის პროცესია“

„დღეს გვყავს ყველაზე არაინტელექტუალური, ყველაზე არაპოლიტიკური პარლამენტი“

სოსო ცინცაძე: „ტრაგიკულად საინტერესო წინასაარჩევნო კამპანია გველის“

კორნელი კაკაჩია: „ტრამპის გზავნილში მეგობრული რჩევაა, რომ დემოკრატიის ხარვეზები გამოვასწოროთ“

„პრეზიდენტს ოკუპაციაზე უნდა ესაუბრა. ეს მისი მოვალეობაა და ამაზე პასუხისმგებელი მისი ადმინისტრაციაც არის“

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე მოხდა

თენგიზ დიხამინჯია: „ხელისუფლებამ უზენაეს საბჭოსთან დიალოგი უნდა დაიწყოს“

საქართველო, შესაძლოა, ნატოში უკრაინაზე ადრე მიიღონ?



ამერიკელი ანალიტიკოსები: „საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას ნატოში მიღების გარანტიები უნდა მიეცეთ“

ვახტანგ გომელაურს პოლონეთის პოლიციის უფროსი კომენდანტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს

თეა წულუკიანი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ინიშნება?!

შს მინისტრს ესპანელი კოლეგები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავენ

ISSN 1987-9385

2 მანანა არჩვაძემ გიორგი ვაშაძე ზვიად გამსახურდიას საფლავზე არ მიუშვა

5 გიორგი რურუას საქმის პროკურორი: „ექსპერტმა დაცვის პოზიცია გააქარწყლა“

5 ავარია გომბორის გზაზე
დაშავებულია 4 ადამიანი

6 მომავალი თვიდან გერმანია 31 ქვეყანასთან საზღვრის გახსნას აპირებს

„ოცნება“ უკან არ დაიხევს, მაგრამ მას მაინც დავამარცხებთ“

მამუკა გამყრელიძე: „ოპოზიციაში დულილის პროცესია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ოპოზიციური გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ხელისუფლებაში სერიოზული საკადრო ცვლილებებია დაგეგმილი. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– ცვლილებები, ალბათ, იქნება. როგორც ამბობენ, პრემიერს შეცვლიან, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, ეს რამდენად მართალია. ყოველ შემთხვევაში, წინასაარჩევნო მომზადება და საარჩევნო სიების ჩამოყალიბება უკვე მიმდინარეობს და ამას ადასტურებენ თავად მაჟორიტარებიც, ისინი, ვინც პროპორციულ სიაში მოხვდებიან.

– ელჩების ცვლილებაც განხორციელდა...

– ეს, არა მგონია, არჩევნებთან პირდაპირ კავშირში იყოს. უფრო პროცედურული საკითხია, რომელიც, შესაძლოა, როტაციასთან იყოს დაკავშირებული.

– მაინც როგორ ფიქრობთ, გახარიას ჩაატარებინებენ არჩევნებს?

– გახარიამ უკვე აჩვენა თავი, როგორც ეფექტიანმა ხელმძღვანელმა, საარჩევნო პერიოდში. ის ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებს და, ჩვენდა სამწუხაროდ, კარგად იმუშავა. წესით, არ უნდა გამოცვალონ. აქ სხვა, უფრო სერიოზული მომენტია.

– რომელი?

– ვინ იქნება პირველი ნომერი. პრემიერი უნდა იყოს სიის პირველი ნომერი, ხომ სწორია? მან უნდა დადოს პროგრამა, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ეს პროგრამა აქტუალურია, რეალურია და უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც ბეგრაუნდი არა აქვს რაღაცით შებღალული. გახარიას თვალთხარიას ეძახიან. არა მგონია, მისი ბეგრაუნდი სუფთა და კარგი იყოს. იქ არის ბევრი სხვადასხვა ნიუანსი, რომლებიც მას არ სძენს მომხიბვლელობას, როგორც ელექტორალურ პიროვნებას. ამიტომ, შესაძლოა, დაფიქრდნენ ამაზე.

– ასევე საუბარია თეა წულუკიანის საარჩევნო სიაში მოხვედრაზე. სიის პირველ სამეულში იქნებაო. ამაზე რას ფიქრობთ?

– თეა წულუკიანი ჩაუძირავი კრეისერია. როგორც ჩანს, განსაკუთრებული სიყვარული აქვს ბატონ ბიძინას ამ ქალბატონის მიმართ. მე დიდი სიმპათიით არ ვარ მისდამი განწყობილი.

– სიყვარულის რა მოგახსენოთ, თუმცა ამბობენ, რომ წულუკიანს კომპრომატები აქვს და ამიტომ ვერ ეხებიან.

– არ ვიცი, ამ კომპრომატების შესახებ არაფერი მსმენია. არ ვიცი, საიდან უნდა ჰქონდეს ეს კომპრომატები, თუმცა, ფაქტი ის არის, რომ ყველაზე უკმეხი, ხეპრე, არადიპლომატიური და საზიზღარი, ცინიკური და ყველაზე არასასიამოვნო პიროვნება მთელ ამ გუნდში არის თეა წულუკიანი. ასეთი დამოკიდებულება არავის მიმართ არა მაქვს. როგორც ჩანს, ის მიიჩნევა ყველაზე კარგ მებრძოლად ნაციონალურ მოძრაობასთან. ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი არიან გამღიზიანებლები ბიძინასთვის და, ალბათ, ამ თვალსაზრისით წულუკიანი მისთვის მომხიბვლელია.

– ამბობენ, რომ ნაცმოძრაობის ბევრი ლიდერი და გამორჩეული სახე აპირებს უკრაინაში გადასვლას. რამდენად სწორია ეს ინფორმაცია?

– მე რაც ვიცი, თუნდაც ლევან ვარშალომიძე გადავიდა. რა თქმა უნდა, ეს არის უზარმაზარი დანაკლისი საქართველოსთვის. ამას ვამბობ სრულიად გულწრფელად.

აჭარისთვის უზარმაზარი დანაკლისია ლევანის გადასვლა, იმიტომ, რომ ამ ადამიანს მართლა კარგად ვიცნობ და ვიცი მისი შესაძლებლობები. შეიძლება, ხატია დეკანოიძეც წავიდეს.

– ხატიაზე ითქვა რამდენიმე დღის წინ, რომ მიდის...

– თუ ყველა კარგი სახე და გამორჩეული ლიდერი წავიდა, ეს ძალიან ცუდი იქნება, თუმცა დიდი პარტიაა და გამონახავენ ახალ სახეებს. ნიკა მელია და გრიგოლ ვაშაძე აქ რჩებიან, არსად წასვლას არ აპირებენ.

– რამდენად მომზადებული ხვდება ოპოზიცია არჩევნებს?

– სადღაც ივნისის 15-მდე დულილის პერიოდი იქნება ოპოზიციაში. მიმდინარეობს კონსულტაციები, განხილვები...

– თავიდან სერიოზული დაპირისპირება იყო, განსაკუთრებით კი – მათ მომხრეებს შორის. რა იქნება მაშინ, როდესაც კიდევ უფრო რეალურად გამოიკვეთება კანდიდატები?

– მოდით, ასე ვთქვათ, გაღიზიანება გამოიწვია ვიღაცა ფიგურების წინ წამოწევამ. კონკურენციის მომენტია და ეს გასაკვირიც არ არის. ახლა მიდის ერთგვარი ძალთა გადანაწილება, ძალების, კავშირების მოსინჯვა, დულილის მომენტია და, ალბათ, ამ ეტაპსაც მარტივად გადავივლით და ჩამოვყალიბდებით.

აქ გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი რამ – გაჩნდა შანსი იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალოს. 8 წელი გავიდა, ხალხში დიდი გაღიზიანება დაგროვდა. ტყუილების გამო გაბრაზებაც დაგროვდა. ამ ხელისუფლებამ ძალიან გააბრაზა ჩვენი დასავლელი პარტნიორები და, მოგეხსენებათ, მათი დახმარების გარეშე რთული იქნება ამ უზარმაზარი საფინანსო რესურსების მქონე და საკმაოდ ხისტ ძალასთან დაპირისპირება.

ეს ის ხალხია, რომელიც უკან არ დაიხევს. 2012 წელს ნაციონალებმა დაიხიეს უკან და დემოკრატიული პროცესები დააყენეს წინა პლანზე, ესენი კი არ დაიხევენ. ეს არის გამორიცხული. ბრძოლა რთული იქნება, დაპირისპირება იქნება, მაგრამ ხელისუფლება შეიცვლება.

ხალხმა სამსახური, შემოსავალი დაკარგა. აი, ეს იქნება ამ გაბრაზებული ხალხის მთავარი მამოძრავებელი. მთავარია, რომ ეს ხალხი არ გაიყიდოს. ბრძოლა კი იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო, სრულიად დაუნდობელი!

„ორივე სახელმწიფომ შეძლო კოვიდ 19-თან ეფექტური ბრძოლა“

გახარიამ და ნეთანიაჰუმ ტელეფონით ისაუბრეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მთავრობის მეთაურს ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და ქართველ ხალხს მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვა. თავის მხრივ, გიორგი გახარიამ ბენიამინ ნეთანიაჰუს მიულოცა ახალი კოალიციური მთავრობის შექმნა და ისრაელის სახელმწიფოსა და ხალხთან მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება.

მხარეებმა ისაუბრეს კოვიდ 19-ის მსოფლიო პანდემიით გამოწვეულ პრობლემებსა და იმ უსაფრთხოების ზომებზე, მათ შორის საერთაშორისო ფრენების აღდგენისა და ტურიზმის ამოქმედების კუთხით, რომელსაც სახელმწიფოები პოსტპანდემიურ პერიოდში მიმართავენ.

ყურადღება გამახვილდა ე.წ. უსაფრთხო დერეფნების კონცეფციაზე, რასთან დაკავშირებითაც საქართველოსა და ისრაელს შორის მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ორივე სახელმწიფომ შეძლო კოვიდ 19-თან ეფექტიანი ბრძოლა.

გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ შედეგად, საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც 1 ივლისიდან შეძლებს ტურიზმის გახსნასა და საერთაშორისო ვიზიტორების მიღებას ისე, რომ მაქსიმალურად გაუფრთხილდეს როგორც საკუთარი მოქალაქეების, ისე სტუმრების ჯანმრთელობას, ამასთანავე, უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვა. ასევე მისასალმებელია, რომ ისრაელი საქართველოს იმ 8 სახელმწიფოს შორის განიხილავს, რომელთანაც ტურიზმის გახსნას გეგმავს.

პრემიერ-მინისტრებმა ისაუბრეს საქართველოსა და ისრაელს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პროცესში მიღწეულ პროგრესზე. აღინიშნა, რომ პანდემიისგან შექმნილი გამოწვევების, მათ შორის ეკონომიკური სირთულეების დაძლევა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

მთავრობის მეთაურმა ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მოიწვია.

საქართველოში ტანსაცმლის ზოგიერთ მაღაზიაში გასახდელი ოთახები გაუქმდება

„რითეილ გრუპ ჯორჯიაში“ შემავალ ტანსაცმლის მაღაზიებში გასახდელი ოთახები უქმდება.

ამის შესახებ კომპანიის დირექტორმა რეზო მაღალაშვილმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ტანსაცმელი ინფექციის გადატანის მაღალ რისკად მიიჩნევა, პრევენციისთვის, კომპანიამ გარკვეული ზომების დამატება გადაწყვიტა.

როგორც რეზო მაღალაშვილი ამბობს, ამის პარალელურად გაიზრდება პროდუქციის მიბრუნება-გადაცვლის პროცედურები. უკან მიბრუნებული ტანსაცმელი კი, დარბაზის ნაცვლად, კარანტინში მოხვდება.

საუბარია ისეთ ბრენდულ მაღაზიებზე, როგორებიცაა „ზარა“, „მასიმო დუტი“, „ოიშო“, „ბერშკა“, „სტრადივარიუსი“ და ა.შ., რომლებიც თბილისში, დიდ სავაჭრო მოლებშია წარმოდგენილი.

– მას შემდეგ, რაც მოვისმინეთ ეკონომიკის მინისტრის გამოსვლა, უფრო დაიმედებულები ვართ. როგორც მან თქვა, ეპიდსიტუაცია აძლევთ იმის საშუალებას, რომ ეკონომიკის ყველა მიმართულება უფრო სწრაფად გაიხსნას. დიდი იმედი გვაქვს, რომ მალე მოიხსნება შეზღუდვები ჩვენს სექტორზეც.

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ ზოგადად სექტორზე მოიხსნება შეზღუდვა და ეს არ იქნება მხოლოდ კომპანიების მიხედვით, ანუ იმ ობიექტებს, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მუშაობას შეძლებენ, მიეცეთ გახსნის საშუალება. ჩვენ 100%-ით ვაკმაყოფილებთ ამ მოთხოვნებს, პლუს კიდევ დამატებით ღონისძიებებს ვატარებთ, იმიტომ, რომ ბრენდები, რომლებსაც წარმოვადგენთ, არის ესპანური, ბრიტანული, რომლებსაც გაცილებთ მძიმე ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაში მოუწიათ ოპერირება. შესაბამისად, ეს საერთაშორისო გამოცდილება გაგვიზიარეს. მაგალითისთვის, გასახდელ ოთახებს გავაუქმებთ, რათა ხელი არ შევუწყოთ ვირუსის გავრცელებას, სამაგიეროდ, გავზრდით მობრუნება-გადაცვლის პროცედურებს. ამასთან, მობრუნებული ტანსაცმელი დარბაზის ნაცვლად მოხვდება კარანტინში და ჩაუტარდება დეზინფექცია. ამ პროტოკოლებით ჩვენ აბსოლუტურად უზრუნველვყოფთ უსაფრთხო ოპერირებას. მოსაზრებები, იებყო, რომ ტანსაცმელი მაღალი რისკია, აბსოლუტურად გამოვრიცხეთ ჩვენი პროტოკოლებით. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ამას გაითვალისწინებენ და მოგვცემენ ოპერირების საშუალებას, – განაცხადა რეზო მაღალაშვილმა.

მანანა არჩვაძემ გიორგი ვაშაძე ზვიად გამსახურდიას საფლავზე არ მიუშვა

გუშინ, 26 მაისს, ხმაური იყო მთაწმინდის პანთეონში.

დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე თანამოაზრეებთან ერთად საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საფლავთან მივიდა.

ვაშაძესა და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებს პანთეონში ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე და პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერები დახვდნენ.

მათ გიორგი ვაშაძეს გამსახურდიას საფლავთან მისვლის უფლება არ მისცეს და ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვებისკენ მოუწოდეს.

თეა წულუკიანი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ინიშნება?!

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გახდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარე ზაზა თავაძეს უფლებამოსილების ვადა 15 ივნისს ეწურება.

ოპოზიციაში დარწმუნებული არიან, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ თანამდებობაზე მისთვის სანდო კადრის დანიშვნას ეცდება, რადგან „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს სურს, სანდო კადრი ჰყავდეს ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კორნელი კაკაჩია: „ტრამპის გზავნილში მეგობრული რჩევაა, რომ დემოკრატიის ხარვეზები გამოვასწოროთ“

„პრეზიდენტს ოკუპაციაზე უნდა ესაუბრა. ეს მისი მოვალეობაა და ამაზე პასუხისმგებელი მისი ადმინისტრაციაც არის“

იაგო ნაცვლიშვილი

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა — თითოეული ქართველისთვის საამაყო და სიმბოლური თარიღი. საქართველოს პრეზიდენტმა და ქვეყნის მთავარსარდალმა სალომე ზურაბიშვილმა კი დამოუკიდებლობის დღეს თავის გამოსვლაში კითხვები გააჩინა. მან არ ახსენა ოკუპაციის თემა, მაშინ როდესაც ქვეყნის 20% რუსეთს აქვს ოკუპირებული და პერიოდულად ხდება ბორდერიზაცია თუ საქართველოს მოქალაქეების გატაცება.

ნესი თარიღი, ქვეყნის მთავარსარდალმა არ უნდა ახსენოს, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი დღესაც ოკუპირებულია?

– რა თქმა უნდა, ასე უნდა იყოს და მას ეს აქცენტი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ამაზე არა მხოლოდ პრეზიდენტმა, არამედ მისმა ადმინისტრაციამაც უნდა იზრუნოს. ოკუპაციაზე აქცენტი უნდა დასმულიყო.

– კომპეტენციის პრობლემაზე გვაქვს საუბარი თუ ეს არის „ქართული ოცნების“ საერთო პოლიტიკის ნაწილი, რაზეც ოპოზიცია საუბრობს, რომ „ოცნების“ პოლიტიკაში პრორუსული ნარატივი ჩანს?

– არ ვიცი, ეს კომპეტენციის ამბავია თუ რაღაცა უფრო არაორგანიზებულობის თუ ხედვების ნაწილით არის განპირობებული. შესაძლოა, ყველა ამ კომპონენტის ერთობლიობაა, მაგრამ, ფაქტია, რომ ასე ჩანს.

საერთოდ „ქართულ ოცნებას“ გზავნილებთან დაკავშირებით ყოველთვის ჰქონდა პრობლემა და სალომე ზურაბიშვილის განცხადებებიც გვახსოვს თუნდაც მისი წინასაარჩევნო კამპანიიდან. ეს არ არის მისი ძლიერი მხარე. აქედან გამომდინარე, ალბათ, გასაკვირი ახლაც არავისთვის იქნებოდა.

– დონალდ ტრამპმა დამოუკიდებლობის დღე მიულოცა საქართველოს პრემიერს. აშშ-ის პრეზიდენტის მილოცვის ტექსტში არის საუბარი ერთობლივ თანამშრომლობაზე, მაგრამ აქვე საუბარია საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციაზე, პოლიტიკურ პლურალიზმსა და კანონის უზენაესობის გაძლიერებაზე. ეს დიპლომატიურ გზავნილად უნდა აღვიქვათ, რომ ეს საკითხები არის პრობლემა საქართველოში?

– რა თქმა უნდა. ჩვენ გვაქვს ჩვენი პოლიტიკური ორიენტირი. ჩვენი მიზანია, გავხდეთ ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი და ჩვენი მისწრაფებები უნდა იყოს მიმართული ამ გზისკენ. აქედან გამომდინარე, სხვა გეოპოლიტიკურ საკითხებთან ერთად, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეს თემები, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაცია და კანონის უზენაესობა.

ჩვენ გვაქვს პრობლემები ამ მიმართულებით და ეს პრობლემები მარტო ახლა არ გვაქვს. ეს პრობლემები სულ გვაქვს დამოუკიდებლობის ისტორიის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ამის შეხსენება ჩვენი პარტნიორების მხრიდან დიპლომატიური ენის გამოყენებით ხშირად ხდება.

მართალია, ეს არის დიპლომატიური გზავნილი, მაგრამ ყველამ იცის, რა პრობლემებთან დაკავშირებითაც არის ლაპარაკი და ეს თემები მუდმივად განიხილება როგორც მედიის მხრიდან, ასევე – პოლიტიკოსებისგანაც.

– კანონის უზენაესობის გაძლიერებაზე როდესაც კეთდება აქცენტი, ეს უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ ჩვენი პარტნიორებიც აღიარებენ, რომ ქვეყანაში გარკვეულწილად შერჩევითი სამართალია?

– ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში არის პრობლემები ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით და, ბუნებრივია, მათაც კარგად იციან, რომ ამ სახის პრობლემები არსებობს საქართველოში. შესაბამისად, მათი მეგობრული რჩევაა, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო აქტიური სამუშაოა ჩასატარებელი ხარვეზების გამოსასწორებლად. ეს არის გზავნილი, რომ ამ კუთხით უნდა გადაიდგას პროაქტიური ნაბიჯები, რათა მოხდეს დემოკრატიის კონსოლიდაცია.

– რაც შეეხება პოლიტიკური პლურალიზმის ნაწილს, ეს არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარებასაც გულისხმობს და იმასაც, რომ გადაიდგას ნაბიჯები, რათა არ იყოს შენარჩუნებული პოლიტიკური პოპულიზმი?

– შესაძლოა, მთლად ასე დაწვრილებით არ იგულისხმებოდეს ყველაფერი, მაგრამ ზოგადად იგულისხმება ის პრობლემები, რომლებიც არის დაკავშირებული დემოკრატიულ კონსოლიდაციასთან და, მათ შორის, წინასაარჩევნო პერიოდთან, ანუ ყველამ იცის, რომ საქართველო არ არის შემდგარი დემოკრატია და, აქედან გამომდინარე, საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

ეს უნდა გადაიდგას არა მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებით, არამედ მთლიანობაში, კომპლექსურად უნდა შევხედოთ ამ საკითხს, იქნება ეს სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხები თუ კიდევ სხვა არაერთი პრობლემა, რომლებიც ქვეყნის წინაშეა. ის პრობლემები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას აწუხებს და ამ პრობლემების მთლიანად მოგვარების მიმართულებით არის გაკეთებული ამერიკის პრეზიდენტის ეს განცხადება თუ სხვა განცხადებები, რომლებიც პერიოდულად კეთდება ხოლმე, იქნება აშშ-სა თუ ევროპაში.

თენგიზ ცერცვაძე: „ჯერ ავტობუსებისა და მეტროს მოძრაობა უნდა აღდგეს“

„შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ სამარშრუტო ტაქსებზე“

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს გენერალურ დირექტორ თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, ავტობუსებისა და მეტროს მუშაობის აღდგენა შესაძლებელია, თუმცა გარკვეული რეგულაციების დაცვა უნდა მოხდეს.

როგორც ცერცვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში უნდა მოხდეს სკამების მონიშვნა, თუ სად შეეძლებათ მგზავრებს დაჯდომა.

– მეორე სერიოზული პრობლემა, ცოტა ნაკლებად სერიოზული, ვიდრე ტურიზმის გახსნაა, არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამოქმედება. თქვენ იცით, რომ შეზღუდვების მოხსნის პირველ ეტაპზე ტრანსპორტზე შეზღუდვა დარჩა. ეს სავსებით ნორმალური იყო და მე ამას ვეთანხმები, მაგრამ, ისიც აშკარაა ყველასთვის, რომ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება, ვინაიდან, იმისთვის, რომ ქვეყანა გაიხსნას, იმისთვის, რომ ადამიანებმა სრულფასოვნად იცხოვრონ და ეკონომიკა გაცოცხლდეს, აუცილებელი პირობაა, ადამიანებს ჰქონდეთ გადაადგილების საშუალება.

ყველას საკუთარი მანქანა არ ჰყავს, ამიტომ უნდა აღდგეს, პირველ რიგში, ავტობუსებისა და მეტროს მოძრაობა და შემდეგ, ალბათ, შეიძლება ვიფიქროთ სამარშრუტო ტაქსებზე. მიმაჩნია, რომ შესაძლებელია ავტობუსებისა და მეტროს აღდგენა, ოღონდ უნდა დავიცვათ გარკვეული რეგულაციები, – განაცხადა ცერცვაძემ.

ცერცვაძის თქმით, როდესაც საქართველოში ინფიცირების კერა აღარ იქნება, შესაძლებელი გახდება, ტრანსპორტში ყველა შეზღუდვა მოიხსნას.

– კერძოდ, ზოგიერთმა ქვეყანამ ეს უკვე გააკეთა: მოინიშნოს სკამები, სადაც შეიძლება მგზავრების დაჯდომა, ანუ ერთ რიგში არ უნდა დაჯდეს ერთ კაცზე მეტი და რიგის გამოშვებით უნდა დასხდნენ მგზავრები. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს მგზავრების რაოდენობის შემცირებას. თუ ჩვეულებრივ ავტობუსში ან მეტროს ვაგონში ეტევა, პირობითად, ვთქვათ, 50 ან 100 კაცი, ასეთი რეგულაციის პირობებში დაეტევა იმის მესამედი. მაგრამ ეს მაინც ბევრად უკეთესია, ვიდრე სულ არაფერი. დავიწყოთ ამით.

თუ ჩვენ საქართველოში მივაღწიეთ იმას, რომ საერთოდ წყარო მოვსპეთ ამ კოვიდინფექციის და აღარ იქნა კერა, ვისგანაც შეიძლება, ადამიანი დაინფიცირდეს, შემდეგ, შეიძლება, ეტაპობრივად ეს შეზღუდვებიც მოიხსნას. ასე რომ, მე მაინც ყველაფერს ვუყურებ ოპტიმისტურად, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

„დღეს გვყავს ყველაზე არაინტელექტუალური, ყველაზე არაპოლიტიკური პარლამენტი“

სოსო ცინცაძე: „ტრაგიკულად საინტერესო წინასაარჩევნო კამპანია გველის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, პოლიტიკური პაუზის შემდეგ პარლამენტში პრემიერი გახარია მიდის. რამდენად საინტერესო პოლიტიკურ დებატებს ელით?

– ამ მოწვევის პარლამენტზე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა: ყველაზე არაინტელექტუალური, მე ვიტყოდი, ყველაზე არაპოლიტიკური პარლამენტია, პარლამენტი, რომლის სტანდარტიც სიტყვა „გოიმი“ გახდა. არადა, ამ სიტყვის ავტორი, პროფესიით კონსტიტუციონალისტი, წესით, უნდა იყოს პოლიტიკოსი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ყოველდღე ამტკიცებს, რომ მას არავითარი საერთო არ აქვს ამ პროფესიასთან. კობახიძემ, შეიძლება, ნებისმიერ თანამდებობაზე ივარგოს, მაგრამ არამცდაარამც საპარლამენტო საქმიანობისთვის, საჯარო პოლიტიკისთვის.

პოლიტიკური დებატები, დისკუსია, სადაც იბადება ჭეშმარიტება, ირაკლი კობახიძემ ახალი სტანდარტით ჩაანაცვლა – ზიზღი და ისევ ზიზღი ოპონენტის მიმართ. არავინ დაეძებს ამომრჩეველს, ამ ქვეყნის მოქალაქეს, რომლის მიერაც არის არჩეული მისი ოპონენტი.

შევარდნაძის პარლამენტში ჩხუბები და დაპირისპირებები რომ იყო, ისეთი უნდა, მაგრამ ეს გახლდათ პოლიტიკის ნაწილი და ეს აშკარა იყო. არ დამავიწყდება პარლამენტში ივლიანე ხაინდრავას ბრწყინვალე გამოსვლა საქართველოს „ესენგეში“ გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეს იყო ინტელექტუალი პოლიტიკოსის შესანიშნავი გამოსვლა, რომელსაც ასევე ბრწყინვალედ უპასუხა მიხო ნანეიშვილმა. ის იყო პოლიტიკური დებატები, დისკუსია. მე ვიტყოდი, ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ ამ მოწვევის პარლამენტი საერთოდ არ ყოფილიყო, როგორმე წაიშალოს ჩვენი პარლამენტარიზმის ისტორიიდან.

რაც შეეხება გახარიას მისვლას პარლამენტში, მე, პირადად, არაფერს ახალსა და საინტერესოს არ ველოდები, რადგან ეს იქნება არა პოლიტიკური, ცივილიზებული, საქმიანი დებატები, არამედ ერთმანეთის დაუზარებელი ლანძღვა-გინება.

– არჩევნები კარს არის მომდგარი. შეიძლება, წინასაარჩევნო კამპანიაც დაიწყოს თუნდაც ამ გამოსვლით „ქართულმა ოცნებამ“?

– ტრაგიკულად საინტერესო წინასაარჩევნო კამპანია გველის. თითქოს არაფერი ახალი არ უნდა მოხდეს, თითქოს ყველაფერი უკვე ათასჯერ ნანახი გვაქვს, მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ საინტერესო ეტაპი მაინც წინ არის. ამ პროცესში ყველაზე ცუდი პოლარიზებაა. ეს არის მთავარი დამღუპველი როგორც ქვეყნისთვის, ისე საზოგადოებისთვის. აშკარად იგრძნობა ცივი სამოქალაქო ომი. როდესაც პოლიტიკოსი იტყვის, ოპოზიციას არ ვცნობთო, მას იმ წუთში საკუთარი თავისთვის გამოაქვს განაჩენი. ის არც პოლიტიკოსია და არც დემოკრატი. როგორ შეიძლება, ოპოზიციას არ ცნობდე, ე.ი. შენს მოქალაქეს არ ცნობ, არ აღიარებ, ამდენსაც ვერ ხვდებიან. ოპოზიცია ციდან ხომ არ მოდის. მას ხალხი ირჩევს. თუ ამის გაცნობიერება არ მოხდება ხელისუფლების მიერ, მუდამ ამ მდგომარეობაში ვიქნებით, მუდამ ასეთი პოლარიზებული იქნება გარემო.

– როგორ ფიქრობთ, ირაკლი კობახიძის გუნდი კვლავ იქნება „ოცნების“ საარჩევნო სიაში?

– თავად ირაკლი კობახიძე იქნება, მაგრამ, რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი, ალბათ, არ იქნებიან. უკვე საუბარია იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ სიაში იქნებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც დღეს სხვადასხვა ტელეეთერში ხელისუფლების მხარდამჭერებად გამოდიან.

– ვრცელდება ხმები, რომ ირაკლი კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარედ ბრუნდება, არჩილ თალაკვაძე კი პრემიერი ხდება. შეიძლება, ასე მოხდეს?

– არ არის გამორიცხული. „ქართული ოცნების“ კურსი, რომელიც მას აქვს აღებული, სწორედ აქეთკენ მიდის, ამაზე მიანიშნებს. თალაკვაძე უფრო რბილია, უფრო თავშეკავებულია, უფრო გაუსვრელია, თან ერთგულია და, შეიძლება, ახლა ყველაზე მეტად ის აწყობს ივანიშვილს წინასაარჩევნოდ პრემიერის პოსტზე.

რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს, რომ გიორგი გახარია ოპოზიციაში გადადის, ამის არ მჯერა.

– რატომ?

– თუ იმას გულისხმობენ, რომ ივანიშვილი გამოვა და ხალხს ეტყვის: შენ გახარიას მიეცი ხმა და შენ კობახიძესო, ასე არ გამოვა. ეს უკვე მეტისმეტი იქნება. შეიძლება, ერთგვარი ნიადაგის მოსინჯვაა და ამიტომ ვრცელდება ეს ხმები, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს არ იმუშავებს. პოლიტიკაში ახალი თაობა მოვიდა, მაგრამ ვერ ივარგა, რადგან მათ ესტაფეტა მიიღეს, თავად კი არ შექმნეს. მათ კი არ შექმნეს ახალი, არამედ გადმოიბარეს. ეს ძალიან ცუდია, ანუ ცუდი გადმოიბარეს. ეს უნდა დასრულდეს. არადა, თითქოს უკეთესი გარემოა, თითქოს ბევრად უფრო წინ ვართ, მაგრამ, მერწმუნეთ, 90-იანი წლების პარლამენტი უფრო ჰგავდა პარლამენტს, ვიდრე ეს პარლამენტი. იმ პარლამენტს მეტი საერთო ჰქონდა ევროპულ პარლამენტთან, ვიდრე იმას, რასაც დღეს ვუყურებთ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე მოხდა

თენგიზ დიხამინჯია: „ხელისუფლებამ უზენაეს საბჭოსთან დიალოგი უნდა დაიწყოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.

– ბატონო თენგიზ, საქართველოს ისტორიაში 26 მაისს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. უახლეს ისტორიაში ის ზვიად გამსახურდიას შემდგომმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის დღედ გამოაცხადა. თქვენ როგორ ხედებით ამ დღეს და რა შეფასებები გიჩნდებათ?

– უპირველესად ყოვლისა, 26 მაისი არის პირველი რესპუბლიკის დაფუძნების დღე, რომელიც არის უდიდესი დღესასწაული საქართველოს ისტორიაში. ამ თარიღით ახალი ერა დაიწყო. ეს იყო პირველი მცდელობა საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველოს სამართალსუბიექტად დაფუძნებისა და დაფიქსირების პირველი მცდელობა.

ამაში ჩართული იყო იმდროინდელი საზოგადოება. განსაკუთრებით ეკლესიის წვლილი მინდა გამოვყო. კერძოდ, დიდია მაშინდელი უდიდესი პატრიარქის, ამბროსი ხელაიას წვლილი, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა, ეცნოთ და დაეცვათ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

– თუმცა ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება და რუსეთის აგრესიისაგან ქვეყნის დაცვა ვერ მოხერხდა.

– 26 მაისი უდიდესი მოვლენა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებლობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. ევროპა და მსოფლიო ამისთვის მზად არ აღმოჩნდნენ, რამაც პირდაპირ გზა გაუხსნა რუსულ აგრესიას, რომელმაც საქართველოს ანექსია-ოკუპაცია მოახდინა.

სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში შეზღუდული სუვერენიტეტის პირობებში ვიყავით, რაღაც გარკვეული სუვერენიტეტი გაგვაჩნდა, მაგრამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაგან ქვეყანა შორს იყო, თუმცა ერში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ ლტოლვა არ გამქრალა. მთელი ქართველი ხალხის ძალისხმევითა და ნებელობით, რომელსაც ორი რჩეული ლიდერი – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა – ედგა სათავეში, მოხერხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წელს საბჭოთა კავშირს უკვე წყალი ჰქონდა შეყენებული, მარშალის გეგმითა და სხვა გლობალური პოლიტიკის მეშვეობით სულს ღაფავდა, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო, განსაკუთრებით – მისი ძალოვანი სტრუქტურები. ამ ურთულეს პირობებში მოხერხდა საბჭოთა სივრცეში და მისი იურისდიქციის პირობებში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. „მრგვალმა მაგიდამ“ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით გაიმარჯვა.

შემდეგ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, რომელსაც მთელი უზენაესი საბჭო აჰყვა, დამოუკიდებლობისთვის ნიადაგი მომზადდა. შეეძლოთ დამოუკიდებლობის აქტის ლიკვიდაცია და დევნა. ამის წინაპირობები იყო, მაგრამ ვითარება ძალიან გონივრულად იქნა გამოყენებული და დამოუკიდებლობა აღდგა. გარკვეულწილად, ვისარგებლეთ საბჭოთა კავშირის დასუსტებითა და სხვა ფაქტორებით. შესრულდა ისტორიული, მასშტაბური ამოცანა, აღდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, ჩვენ დამოუკიდებლობა კი არ მოვიპოვეთ, არამედ აღვადგინეთ. ეს იყო ბრწყინვალე ფურცელი საქართველოს ისტორიაში. საქართველო გახდა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

– თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობა 9 აპრილს აღდგა.

– დიახ, მაგრამ მანამდე ჩავატარეთ რეფერენდუმი, სადაც იყო მითითებული, გვსურდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ჩვენ შეგვეძლო, დამოუკიდებლობა რეფერენდუმის გარეშეც გამოგვეცხადებინა. ამის სრული უფლება გვქონდა, რადგან საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მხარს გვიჭერდა.

რისკზე წავედით, ჩავატარეთ რეფერენდუმი და სრულფასოვანი აქტის საფუძველზე აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, 1918 წლისაგან განსხვავებით, მათ შორის, აფხაზეთის, აჭარისა და ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ (სადაც კონფლიქტი აბსოლუტურად ხელოვნურად შეიქმნა) მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით.

ჩვენ რისკზე წავედით, მაგრამ, მოსახლეობას რაც შევპირდით, შევასრულეთ, გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, რომელიც ყველა დიდმა ქვეყანამ აღიარა. ეს მოხდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ვითარებაში.

დღესაც, თუ დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების რაღაც პერსპექტივა გვაქვს, სწორედ იმ იურიდიულ-სამართლებრივ-პოლიტიკური აქტის საფუძველზე და რეფერენდუმის მეშვეობით, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთისა და გაუქმებული უკანონო „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

ეს დაფიქსირდა ყაზბეგში ზვიად გამსახურდიას ელცინთან შეხვედრისას.შეიქმნა სრულფასოვანი სამართლებრივი და იურიდიული სივრცე. დღეს თუ პერსპექტივა გვაქვს, სწორედ ამ სახელმწიფოებრივი აქტის საფუძველზეა.

– დღეს დამოუკიდებლობის დღედ არ აღიარებენ და არ აღნიშნავენ 9 აპრილს და საუბრობენ დამოუკიდებლობის 100 წელზე. დამოუკიდებლობის 100 წელი როგორ გამოდის, რაღაც წყვეტა ხომ იყო საბჭოთა ოკუპაციის შედეგად?

– არა მარტო არ აღნიშნავენ... მე შეგნებულად გავუსვი ხაზი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებს, როგორც 1918 წელს, ასევე 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, ჩვენ დამოუკიდებლობა პირველად არ მოგვიპოვებია, არამედ დაკარგული თავისუფლება და დამოუკიდებლობა აღვადგინეთ, რაც სხვადასხვა რამ არის. ამას სხვების გასაგონად ვამბობ.



– ვის გასაგონად ამბობთ?

– პირველ რიგში, დღევანდელი ხელისუფლების გასაგონად ვამბობ, რომელიც თავისი წინამორბედების, როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის იდეებს იმეორებს.

– ე.ი. დღევანდელი ხელისუფლება წარსულის კონიუნქტურის ტყვეა.

– ხდება წარსულის კონიუნქტურის გადმოტანა და 9 აპრილის იდეალებისა და ფასეულობების ნიველირება, რომელზეც დგას საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

– თუმცა მოვისმინეთ პრემიერ გახარიას შეფასება 9 აპრილის, როგორც დამოუკიდებლობის დღის შესახებ.

– ეს იყო ამ მოვლენის ძალიან ფრაგმენტული და არასრულფასოვანი შეფასება, რომელსაც სჭირდება გაღრმავება და იმ ურთიერთკავშირის დადგენა, რომელიც არსებობს 1918 წლის 26 მაისსა და 1991 წლის 9 აპრილის მოვლენების ფასეულობებსა და სამართლებრივ სისტემას შორის. ეს ორი სხვადასხვა რამ არის. აშკარად არასრულფასოვანი შეფასება იყო.

– მაშინ, დღევანდელმა ხელისუფლებამ და კიდევ მომავალში ვინც მოვა საქართველოს სათავეში, უარი უნდა თქვას უახლოესი წარსულის მემკვიდრეობაზე, შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობაზე.

– რა თქმა უნდა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს ძალიან მკაფიოდ უნდა თქვას.

– ეს რთული პროცესია.

– რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ პროცესი დასაწყებია. უნდა მოხდეს იმ სახელმწიფო გადატრიალების შედეგების ლიკვიდაცია, რომელიც დაკავშირებულია ფასეულობებთან, სამართლებრივ სივრცესთან, სტატუსთან. თუ ჩვენ გვაქვს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უნარი, მხოლოდ და მხოლოდ იმ სამართლებრივი სივრცისა და მონაპოვრის გათვალისწინებით, რომელიც ასახულია 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტში. ამიტომ ამის გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ.

შემდგომში, რაც სააკაშვილმა გააკეთა – ორი „სამხრეთ ოსეთი“, ზემო აფხაზეთი და ა.შ. – არსებული ხელისუფლება ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის სამართალმემკვიდრეა და მას უნდა გაემიჯნოს. თუ დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილის მემკვიდრეობას გაემიჯნება, მაშინ უზენაეს საბჭოსა და მის ორგანოებთან დიალოგი და პარტნიორობა აუცილებელია, რაც რთული აქტია, მაგრამ დასაწყებია. სამწუხაროდ, ეს შორსმიმავალი იდეებია, თუმცა შესრულებადია.

– 26 მაისი ასევე არის მერაბ კოსტავას დაბადების დღე, პირველი საპრეზიდენტო არჩევნებისა და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის დღე. როგორც ჩანს, არის რაღაც კანონზომიერება ამ ყველაფერში.

– რა თქმა უნდა. მერაბ კოსტავას ფიგურა კიდევ სხვა ფენომენია. მან ურთულეს ჯოჯოხეთურ პირობებში ერის გამთლიანება შეძლო. დღეს რომ ბევრს ვლაპარაკობთ სამოქალაქო საზოგადოებაზე, გარკვეულწილად, ეს პიროვნება აყალიბებდა სამოქალაქო ცნობიერებას. ის თავის თავში ატარებდა მსოფლმხედველობრივ, ზეადამიანურ, რაინდულ ფასეულობებს.

მერაბ კოსტავა იყო შინაგანი თავისუფლების განსხეულება, რომელიც საბჭოთა გულაგებში ვერ გატეხეს, დაბრუნდა, ერი შეკრა, მოამზადა, გაამთლიანა და ყველანაირი საფუძველი შეუქმნა დამოუკიდებლობის იოლად გამოცხადებისთვის.

სამწუხაროდ, მერაბ კოსტავას იდეალები მანამდე მოქმედებდა, სანამ იმდროინდელი პოლიტიკური ელიტა და გუნდი დაიქსაქსებოდა და სანამ სამოქალაქო ომამდე მივიდოდით. დღეს მერაბ კოსტავას იდეალები ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და სახელმწიფოებრივი ატრიბუტები.

სახელმწიფო იმდენად იქნება სტაბილური, ხანგრძლივი და ადეკვატური, რამდენადაც 9 აპრილის სახელმწიფო მონაპოვრის მაღიარებელი და აღმასრულებელი იქნება თავისი ცხოვრების წესით. სამწუხაროდ, ამას დღეს ვერ ვხედავთ, რადგან მათ 9 აპრილთან არანაირი – არც ფიზიკური, არც ფსიქოლოგიური, არც მსოფლმხედველობრივი შეხება არ ჰქონიათ და გაუცხოებულია. ამიტომ არის, რომ დღეს მესამე ძალა ვერ იქმნება, რომელიც ამ ფასეულობების გარეშე ვერც შეიქმნება.

საქართველო, შესაძლოა, ნატოში უკრაინაზე აღრე მიიღონ?

ამერიკელი ანალიტიკოსები: „საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას ნატოში მიღების გარანტიები უნდა მიეცეთ“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის პროპაგანდა აგრძელებს იმის მტკიცებას, თითქოს ევროკავშირი, ნატო და სხვა საერთაშორისო თუ ევროპული ორგანიზაციები იშლებიან, კორონავირუსმა კი რღვევის პროცესი დააჩქარა. იმავდროულად, კრემლი და მისი ლიდერი პუტინი არ იშლიან ევრაზიული ერთიანი სივრცის დაპატრონების განზრახვებს.

კორონავირუსის პანდემიამ ბევრი მოვლენა შეაფერხა, თუმცა არ არის გამორიცხული ზოგიერთი პროცესის დაჩქარება. მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს ნატოში მიღება.

ამერიკელი ანალიტიკოსები „ნეიშენელ ინტერესიდან“ საუბრობენ ნატოს ახლებურ როლზე პოსტპანდემიურ ეპოქაში.

მათი დასკვნით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უნდა გადაიქცეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციად, რომელიც შეაკავებს ავტორიტარიზმს. ორგანიზაციის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი მზადაა თამამი ნაბიჯებისათვის.

ამ სიტუაციაში ანალიტიკოსები მოუწოდებენ ნატოსა და დასავლეთის ლიდერებს, ნატოს კარი ღია დატოვონ ისეთი ქვეყნებისათვის, როგორებიც არის საქართველო, ასევე ბოსნია-ჰერცეგოვინა.

მათი აზრით, უკრაინას კიდევ გრძელი გზის გავლა მოუხდება ნატოში შესასვლელად.

ნატო უნდა გაძლიერდეს და არ შემოიფარგლოს არა მხოლოდ სამხედრო უსაფრთხოებით. მან უნდა მიხედოს ენერგეტიკას, კიბერსივრცესა და ჯანდაცვის სისტემას, ვინაიდან ამ სფეროებში დიდი გამოწვევებია.

ავტორები პროგნოზირებენ მასშტაბურ ცვლილებებს პოსტპანდემიურ პერიოდში და ამ ძვრებს მეორე მსოფლიო ომისშემდგომ გარდატეხას ადარებენ. მათი სიტყვებით, რუსეთი, ჩინეთი და ირანი ეცდებიან, პოსტპანდემიური მდგომარეობა საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ. აშშ-მ ამ რეალობაზე თვალი არ უნდა დახუჭოს. ქვეყნის შიგნით პანდემიის შემდგომი აღდგენა აუცილებელია, მაგრამ საგარეო აქტიურობაც გარდაუვალია. ვაშინგტონი სათავეში უნდა ჩაუდგეს თანამოაზრე დემოკრატიულ სახელმწიფოებს. ეს ქვეყნები არიან ევროპაშიც, სამხრეთ აზიაშიც, ახლო აღმოსავლეთშიც. დემოკრატიულმა სამყარომ უნდა გაიაზროს პანდემიის გეოპოლიტიკური შედეგები და შეიმუშაოს დასავლური ღირებულებებისა და ინტერესების წინწამოწევის სტრატეგია.

ამისათვის მიზანშეწონილია ნატოს გადასხვაფერება და გაფართოება, ასევე დემოკრატიული სახელმწიფოების მთელი რიგი სამიტების გამართვა. მაგალითად, აშშ-ევროკავშირი; დემოკრატიათა თანამეგობრობა, შეთანხმებების გაფორმება ინვესტიციებისა და სტაბილურობის თაობაზე.

პანდემიამდე დასავლეთი ერთიანი არ იყო. შეინიშნებოდა ლოიალური მიდგომები მოწინააღმდეგეებთან. მაგალითად, ხდებოდა რუსეთის გაზის შესყიდვა, ასევე ჩინეთის იაფი სამრეწველო საქონლით ვაჭრობა, ირანის ბირთვული პროგრამის შემცირება.

მომავალში დემოკრატიულმა თანამეგობრობამ მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს მოწინააღმდეგეების მიმართ.

როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ამერიკელი ანალიტიკოსების მოსაზრებები არ არის. ეს რეკომენდაციები ნაწილობრივ უკვე სრულდება.

ნატოში ინტეგრაციაზე კი რამდენიმე დღის წინ თავისი შეხედულებები გაამყღავნა კურტ ვოლკერმა, რომელიც იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეცწარმომადგენელი უკრაინაში.

ვოლკერის თქმით, რუსეთის ფედერაცია ხელს უშლის ნატოში უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის შესვლას და მან მოახდინა მათი ტერიტორიების ოკუპაცია.

ნატოც არ მიისწრაფვის თავის შემადგენლობაში იმ სახელმწიფოების მიღებას, რომლების ნაწილიც ოკუპირებული აქვს რუსეთს. ეს, ორგანიზაციის მეხუთე მუხლის თანახმად, იქნებოდა ავტომატური ომი რუსეთთან.

კურტ ვოლკერი აღნიშნავს, რომ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ნატოში ერთი პირობით უნდა მიიღონ – მათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ იმოქმედებს მეხუთე მუხლი.

ეს იქნება სტიმული, რომ რუსეთმა არ გააგრძელოს ტერიტორიების ოკუპაცია.

– ჩვენ ვივალდებულებთ, რომ პირველები ძალას არ გამოვიყენებთ, ხელს შევუწყობთ მშვიდობიან ინტეგრაციასა და ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, – განაცხადა ვოლკერმა.

როგორც ჩანს, პოსტპანდემიური პერიოდი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახალ თემებს გააჩენს ან გააცოცხლებს. გლობალური მოწინააღმდეგეები კი საქართველოს უფრო დიდ ადგილს დაუთმობენ. საპარლამენტო არჩევნების მოახლოება კი ამ საკითხებს გაამწვავებს.

ირმა ჭკადუა: „ნიკა ბასილაშვილს და მისი ოჯახის წევრებს ნეკა დოროყაშვილზე არ უძალადიათ“



ოჯახურ ძალადობაში ბრალდებულ ნიკა ბასილაშვილის ადვოკატები დაპირებული ვიდეომასალის გასაჯაროებას აღარ აპირებენ. უფლებადამცველების განმარტებით, ეს არასრულწლოვნის ინტერესების გამო ხდება, რადგან კადრებში ბავშვიც ჩანს.

ბასილაშვილის ადვოკატი ირმა ჭკადუა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ არსებობს ჩანაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ ნეკა დოროყაშვილზე ფიზიკური ძალადობა არ მომხდარა.

– საქმეში წარმოდგენილი ვიდეომასალა ცალსახად ადასტურებს, რომ არც ნიკოლოზ ბასილაშვილს და არც მისი ოჯახის წევრებს ქალბატონ ნეკაზე არ უძალადიათ. დანარჩენს, მომავალში თუ რამე წარმოსადგენი აქვთ, წარმოადგენენ და გავცემთ პასუხს. რაც შეეხება ქონებრივ დავას, ამ ეტაპზე ქონებრივი დავა არ მიმდინარეობს, ხოლო დამატებით თანხების გადახდას, რომელსაც ბატონი ბასილაშვილი საკუთარ თავზე იღებდა, შეწყვეტს ამის გადახდას, გარდა იმისა, რაც მორიგების ოქმით არის და ალიმენტი, ბუნებრივია. იმიტომ, რომ გარკვეული სპეკულაციების საგანი გახდა, თითქოსდა ბატონი ბასილაშვილი გარკვეულ თანხას ნეკას უხდიდა დუმილის სანაცვლოდ, – განაცხადა ადვოკატმა.

ნეკა დოროყაშვილის ადვოკატი ანა აბაშიძე კი ამბობს, რომ ნიკა ბასილაშვილის მხარეს არ აქვს მტკიცებულება, რომლის გასაჯაროება დაასრულებდა ამ საქმეს.

– თუ აქვთ რაიმე, უნდა წარმოადგინონ და ასე არ უნდა ილაპარაკონ, რომ გვაქვს კარგი მტკიცებულება და არ გაჩვენებთ და ის საქმეშიც არ იყოს, ეს კიდევ და კიდევ მედიაბრძოლის იარაღია. რა ხდება გამოძიებაში, ეს აღარ აინტერესებთ,

მთელი კამპანიური მცდელობებია, რომ სანამ გამოძიება დასრულდება, მანამდე ადამიანი მორალურად გაანადგურონ, – განაცხადა ანა აბაშიძემ.

ნიკოლოზ ბასილაშვილი სამართალდამცველებმა 22 მაისს დააკავეს. გამოძიების ვერსიით, მან ყოფილ მეუღლეზე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ფიზიკურად იძალადა. სპორტსმენის აღკვეთის ღონისძიებაზე საქალაქო სასამართლომ 24 მაისს იმსჯელა და 100.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. წინასასამართლო სხდომა პირველ ინსტანციაში 16 ივლისს გაიმართება.

გიორგი რურუას საქმის პროკურორი: „ექსპერტმა დაცვის პოზიცია გააქარწყლა“

„მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილის გიორგი რურუას საქმის პროკურორ ვასილ სამხარაძის განცხადებით, 25 მაისს დაკითხულმა პოლიციელმა ისაუბრა, თუ რა ვითარებაში მოხდა რურუას პირადი ჩხრეკის ჩატარება და როგორ მოხდა ცეცხლსასროლი იარაღის დალუქვა.

– დავკითხეთ 2 მოწმე, ბექა მახარაძე, რომელმაც ჩაატარა რურუას ჩხრეკა და ასევე ბალისტიკოსი, ექსპერტი პაატა დუმბაძე. რაც შეეხება ბექა მახარაძის დაკითხვას, მან დაადასტურა ყველა ის გარემოება, თუ რა ვითარებაში

მოხდა პირადი ჩხრეკის ჩატარება, რისი ამოღება მოხდა და როგორ მოხდა მისი დალუქვა, ასევე ოქმში ამ გარემოებების ასახვა. ასევე პაატა დუმბაძემ დაცვის მხარეს კითხვებს გასცა პასუხი. ამდენი ხნის განმავლობაში, დაცვა აპელირებდა თითქოს, გამომძიებელმა, რომელიც პირად ჩხრეკას ატარებდა, სპეციალურად არ მიუთითა ცეცხლსასროლი იარაღის ნომერი ოქმში, თუმცა, ექსპერტმა თვალნათლივ ახსნა და გააქარწყლა დაცვის მხარის ეს გარემოება. უშუალოდ შეუძლებელი იყო ცეცხლსასროლი იარაღის ნომრის დანახვა და მისი აღწერა, რადგან ნომრის აღმოჩენა შესაძლებელია მხოლოდ იარაღის დაშლისას, რადგან ნომერი მითითებულია შიდა მხარეს, – განაცხადა სამხარაძემ.

გიორგი რურუა სამართალდამცავებმა 18 ნოემბერს, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

ავარია გომბორის გზაზე

დაშავებულია 4 ადამიანი

გუშინ, 26 მაისს, ავარია მოხდა ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზაზე, სოფელ პალდოსთან.

მსუბუქი ავტომანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

ავარიის შედეგად მძღოლი და სამი მგზავრი მძიმედ დაშავდნენ. ისინი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურმა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია იმყოფებოდა. მიმდინარეობს გამოძიება.

თეა წულუკიანი: „ქორწინების რეგისტრაციაზე დასწრება მხოლოდ წყვილის მშობლებს, მოწმეებსა და ფოტოგრაფს შეეძლებათ“

15 ივლისამდე პერიოდში წყვილის ქორწინების რეგისტრაციის რიტუალზე დასწრების უფლება მხოლოდ წყვილის მშობლებს, ქორწინების მოწმეებსა და ფოტოგრაფს ექნებათ. ამის შესახებ საუბარია იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის N543-ე ბრძანებაში, რომელიც ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრას გულისხმობს:

„სპეციალური სარიტუალო მომსახურებითა და ადგილზე მომსახურებით (შენობის გარეთ მომსახურება) ქორწინების რეგისტრაციისას საქორწინო სივრცეში დასაშვებია, დასაქორწინებელ პირებთან ერთად იმყოფებოდნენ მხოლოდ მათი მშობლები, ასევე მოწმეები და ერთი ფოტოოპერატორი. სავალდებულოა საქორწინო სივრცეში მყოფ პირთა შორის რეკომენდებული სოციალური დისტანციის დაცვა“, – აღნიშნულია ბრძანებაში.

ვახტანგ გომელაურს პოლონეთის პოლიციის უფროსი კომენდანტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის უფროსი კომენდანტი, გენერალ-ლეიტენანტი იაროსლავ შიმჩიკი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

„პატივცემულო მინისტრო, 26 მაისი გახლავთ საქართველოს ყოველი მოქალაქისთვის გულთან ახლოს მდგომი თარიღი, დამოუკიდებლობის დღე, რომელიც ეძღვნება ეროვნულ იდენტობას და მოიცავს ქვეყნის ხანგრძლივ და მდიდარ ისტორიას, ტრადიციებსა და კულტურას – პოლონეთისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ფასეულობებს, რომელმაც 1919 წელს ასევე აღიდგინა თავისი დამოუკიდებლობა. ამასთან, ჩვენ, როგორც პოლიციის ოფიცრებს, გვესმის, რომ ცხოვრება არ გახლავთ თავისუფალი საფრთხეებისგან. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი რთული სამუშაოს თითოეულ დღეს ჩვენი დამოუკიდებლობის მშენებლობაში ყოველდღიური წვლილი შეაქვს. საქართველოს ამ მშვენიერ ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით მსურს, გულითადად მოგილოცოთ და გავიზიარო ის სიხარული, რომელსაც ამჟამად განიცდით. ამასთან, მსურს, გისურვოთ თქვენ და თქვენდამი დაქვემდებარებულ პოლიციის ოფიცრებსა თუ სამოქალაქო თანამშრომლებს ჯანმრთელობა, უსაფრთხო სამსახური და კმაყოფილება ჩვენდამი მონდობილი მისიიდან“, – ნათქვამია იაროსლავ შიმჩიკის მილოცვაში.

სათევზაოდ წასულმა ბიჭმა მრავალწლიან საიდუმლოს ფარდა ახადა

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის მკვიდრი ექვსი წლის ბიჭი სათევზაოდ წავიდა და მეზობელს მრავალწლიანი საიდუმლოს გამოვლენაში დაეხმარა.

პატარა ნოკს ბრიუერმა იუთუბის პლატფორმაზე ნახა ვიდეო მაგნიტით თევზაობის თაობაზე (სათევზაოდ ანკესისა და ნემსკავის ნაცვლად ძლიერი მაგნიტი გამოიყენება) და გადაწყვიტა, თავადაც ეცადა.

– ჩვენ ვიფიქრეთ, რომ მისთვის ასე უფრო გაადვილდებოდა კორონავირუსის პანდემიის გამო თვითიზოლაციაში ყოფნის გადატანა, – განაცხადა ბავშვის დედა კეტრინმა, – მან ისიც კი შეისწავლა, თუ რომელი ქვები მაგნიტდება და რომელი – არა.

ნოკსი უჩვეულო საშუალებით სათევზაოდ უიტნის ტბაზე გაემართა. როდესაც მისი მაგნიტი რაღაც მეტისმეტად მძიმეს წამოედო, შემთხვევითი გამვლელი ბავშვს მის ხმელეთზე ამოტანაში დაეხმარა. ტბის ფსკერიდან ამოტანილი საგანი საიუველირო ნაკეთობებით დამშვენებული ლითონის სეიფი აღმოჩნდა, უბისა და ქვითრების წიგნაკით.

– ჩვენ სეიფი გავხსენით. ვიცოდი, რომ ის ხელისუფლებისთვის უნდა გადაგვეცა, გამოძიებაში ჩაგვერთო და ეს საიდუმლოება ამოგვეხსნა, – აღნიშნა ბავშვის მამა ჯონათანმა, – გარდა ამისა, ეს კარგი საშუალება იყო, რათა ნოკსისთვის გვეჩვენებინა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში.

ბრიუერების ოჯახმა მომხდარის თაობაზე პოლიციას შეატყობინა. გაირკვა, რომ რვა წლის წინ ეს სეიფი მეზობლად მცხოვრებ ქალს მოჰპარეს.

– პირველი, რაც მან გააკეთა, მუხლებზე დაეშვა, ნოკს მოეხვია და მადლობა გადაუხადა საიდუმლოსთვის ფარდის ახდაში, – განაცხადა ჯონათანმა, – მომავალში ის პოლიციელობას აპირებს და ამიტომ ძალიან მოეწონა გამოძიება, კითხვების დასმა და საქმის არსში ჩაწვდომა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შს მინისტრს ესპანელი კოლეგები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავენ



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო გვარდიის გენერალური დირექტორი მარია გამეზ გამეზ და ეროვნული პოლიციის მთავარი კომისარი კარლოს ვასკეს არა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავენ.

„ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის სახელით, პატივი მაქვს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, განსაკუთრებით კი საქართველოს პოლიციას, რომლებთანაც ჩვენ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა გაგვაჩნია, მივულოცო ქვეყნის დამოუკიდებლობა. გილოცავთ!“ – ნათქვამია მარია გამეზ გამეზის მილოცვაში.

„ბატონო მინისტრო, ძვირფასო კოლეგებო, ესპანეთის სამეფოს ეროვნული პოლიციის სახელით გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! გაუმარჯოს საქართველოს! გილოცავთ!“ – აცხადებს კარლოს ვასკეს არა მილოცვაში.

ესპანეთში 10-დღიანი გლოვა გამოცხადდა

ესპანეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქვეყანაში კორონავირუსით დაღუპულთა მოსახსენიებლად 10-დღიანი გლოვა გამოცხადდა. ამის შესახებ მთავრობის პრესსპიკერმა მარია იესუს მონტერომ განაცხადა.

გლოვის პერიოდში დაეშვება დროშები ქვეყნის სახელმწიფო შენობებზე და შეიარაღებული ძალების ხომალდებზე.

10-დღიანი გლოვა ოფიციალური ცერემონიით დასრულდება, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური წარუძღვება.

26 მაისის მონაცემებით, ესპანეთში კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა რაოდენობა 282.480-ს შეადგენს. აქედან 196.958 ადამიანი ანუ 69,7% განიკურნა, ხოლო 26.837 ანუ 9,5% გარდაიცვალა.

მომავალი თვიდან გერმანია 31 ქვეყანასთან საზღვრის გახსნას აპირებს

გერმანია მომავალი თვიდან 31 ქვეყანასთან საზღვრის გახსნას გეგმავს. ამის შესახებ ინფორმაციას მედია გერმანიის მთავრობის სამუშაო დოკუმენტზე დაყრდნობით ავრცელებს.

შეზღუდვების მოხსნა შეეხება ევროკავშირის 26 წევრ ქვეყანას, დიდ ბრიტანეთს, ნორვეგიას, ისლანდიასა და ისეთ ქვეყნებს, რომლებიც შენგენის ზონაში იმყოფებიან.

გერმანიამ საზღვრები საერთაშორისო მოგზაურებისთვის 17 მარტს ჩაკეტა.

რუსეთში სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდა

4 ადამიანი დაიღუპა

რუსეთში სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდა, რის შედეგადაც 4 ადამიანი დაიღუპა. უბედური შემთხვევა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩუკოტკის რეგიონში მოხდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კატასტროფა ტექნიკურმა მანიპულაციებმა გამოიწვია.

– ვერტმფრენში ეკიპაჟის 3 წევრი და 1 ტექნიკოსი იმყოფებოდნენ. ყველა მათგანი დაიღუპა, – განაცხადა ჩუკოტკის გუბერნატორმა რომან კოპინმა.

ეს უკვე მეორე მი-8 ტიპის სამხედრო ვერტმფრენია, რომელიც რუსეთში ბოლო დღეების განმავლობაში ჩამოვარდა. 19 მაისს ამავე ტიპის ვერტმფრენის კატასტროფას მოსკოვთან ახლოს 3 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეგან მარკლმა და პრინცმა ჰარიმ ერთმანეთს უჩვეულო საჩუქრები უძღვნეს

სასექსის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ დაქორწინების მეორე წლისთავის აღსანიშნავად ერთმანეთს უჩვეულო საჩუქრები უძღვნეს. ამ ინფორმაციას ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

სამეფო წყვილთან დაახლოებული წყაროს მონაცემებით, 35 წლის პრინცმა ჰარიმ და მისმა 38 წლის მეუღლე მეგან მარკლმა ერთმანეთს ბამბისგან დამზადებული ნივთები აჩუქეს. ამერიკული გამოცემის ინფორმატორმა დაამატა, რომ მეგანმა მეუღლეს წერილი მოუმზადა, რომელშიც მისდამი სიყვარული გამოხატა, ხოლო პრინცმა ჰარიმ ცოლი ყვავილების თაიგულითა და ბეჭდით გაახარა.

– მათ საჩუქრების შერჩევის დროს ტრადიციების დაცვა უყვართ. ქორწილის პირველი წლისთავი ქაღალდის იყო. მეგანმა ქაღალდზე საქორწინო სიტყვა დაწერა, ჩარჩოში ჩასვა და მეუღლეს აჩუქა, – ყვება გამოცემასთან საუბარში ინფორმირებული წყარო, – წელს კი მათ ერთმანეთს ბამბის ნაწარმი გაუცვალეს.

წყარომ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი საჩუქრები შემოქმედებითი და რომანტიკული იყო.

ასეულობით მკვდარი ჩიტის ჩამოვარდნამ მოსახლეობა შეაშინა

ავსტრალიის ქალაქ ენგლ ვეილის მოსახლეობა ციდან ასეულობით მკვდარი თუთიყუშის ჩამოვარდნამ შეაშფოთა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს.

ორგანიზაციის, რომელიც გარეული ცხოველების გადარჩენითაა დაკავებული, თანამშრომლის სარა კინგის თქმით, უახლოეს კვირებში კიდევ ათასობით კორელის სახეობის თუთიყუშის დაღუპვაა მოსალოდნელი. მათმა გუნდმა უკვე მიიღო ასეულობით შეტყობინება ციდან მკვდარი ფრინველების ჩამოვარდნის თაობაზე. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მაშველებმა ასეულობით დაღუპული და მომაკვდავი კორელი იპოვეს. კინგმა აღნიშნა, რომ მსგავსი რამ ყოველწლიური მოვლენაა.

– მაშველებმა დაღუპულ ფრინველებს შორის მხოლოდ ორი ნახეს ცოცხალი. ყოველ გასვლაზე 20-მდე მკვდარ კორელს ვნახულობთ, – ამბობს კინგი. მისი აზრით, თუთიყუშები მოწამლეს შხამით, რომელიც კუნთებსა და ნერვულ დაბოლოებებს აზიანებს. ასეთი მოწამვლის შემდეგ კორელები ორ-სამ კვირაში შიმშილისგან იღუპებიან.

მიუხედავად ორგანიზაციის ძალისხმევისა, ასეულობით კორელის გადარჩენა ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, ათეულობით თუთიყუში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს.

ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობის საქმით დაწყებულია გამოძიება.

თვითიზოლაციაში მყოფმა წყვილმა სახლში ლუდი მოხარშა და დაიღუპა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ ოუშენ-ვიუს მკვიდრი ოჯახური წყვილი სახლში დამზადებული ჯანჯაფილის ლუდის მოხმარების შედეგად დაიღუპა.

54 წლის მელვინ აფრიკანერმა და მისმა 50 წლის მეუღლე ვინიმ სახლში დამზადებული ჯანჯაფილის რამდენიმე ბოთლი ლუდი დალიეს და თავი ცუდად იგრძნეს. მათ სასწრაფო დახმარების გამოძახება მოასწრეს და გონება დაკარგეს. ქალიც და მამაკაციც საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც მოგვიანებით გარდაიცვალნენ.

საავადმყოფოს თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ოჯახური წყვილის გადარჩენა შეუძლებელი იყო. აფრიკანერების ნათესავმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ წყვილმა სასმელში სპირტი გაურია, რომ ის უფრო მაგარი გამოსულიყო. პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო.

გეგმების შეცვლა ქალს გამდიდრებაში დაეხმარა

ავსტრალიის ქალაქ ბეისუოტერში ქალმა მას შემდეგ მოხსნა ჯეკპოტი, რაც ლატარიის ბილეთი ჩვეულებრივზე ორი საათით ადრე შეიძინა.

ქალის თქმით, რამდენიმე ათწლეულია, ყოველ შაბათს მონაწილეობს ლატარიის გათამაშებაში და ყოველთვის ბილეთს ერთსა და იმავე დროს ყიდულობდა, ბოლო ჯერზე კი მოულოდნელად გეგმები შეეცვალა და ლატარიის ბილეთი ჩვეულებრივზე ორი საათით ადრე შეიძინა, როდესაც ქალაქ ბასენდენში ჯიხურის მახლობლად შეჩერდა.

შედეგად მის მიერ პირველ ხაზში ჩაწერილი რიცხვები შაბათს გამართულ გათამაშებაში ამოსულ რიცხვებს დაემთხვა. ავსტრალიელი ქალის მოგებამ 268 ათას ავსტრალიურ დოლარს გადააჭარბა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანრი ბიბინეიშვილ-ჯაყელს სასამართლოში უჩივლეს

მსახიობ ანრი ბიბინეიშვილ-ჯაყელს კლინიკამ სასამართლოში უჩივლა:

– გათიშული, სასწრაფოთი გადამიყვანეს ბათუმში „ბაუ“ კლინიკაში და მხოლოდ თეატრის 375 ლარით ვარსებობდით მე და ჩემი ოჯახი. მეორე დღეს კი კლინიკამ გამომიცხადა დავალიანების შესახებ, რომელიც 270 ლარს შეადგენდა. რა თქმა უნდა, ვერ გადავიხადე და წამოვედი.

3 წლის შემდეგ სასამართლოში მიჩივლა კლინიკამ და მედავება ფულს, რომლის გადახდაც საყოველთაოს უნდა ეკისრა, მაგრამ მე მთხოვენ! სასამართლომ დაუსწრებლად გამოიტანა განაჩენი და დამაკისრა თანხის გადახდა ზემოდან 50 ლარის დამატებით. უნდა გავასაჩივრო გადაწყვეტილება და ვნახოთ, როგორ მორჩება, ვინ გაიმარჯვებს!

სტეფანე საქველმოქმედო კონცერტს გამართავს

მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი საქველმოქმედო კონცერტს სასტუმრო „სტამბაში“ გამართავს:

– 6 ივნისს ფონდი „ერთიანობა“ სასტუმრო „სტამბიდან“ ატარებს საქველმოქმედო კონცერტს. ჩემი სოლო-კონცერტი იქნება რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში და შესაძლო ყველა ინტერნეტპორტალზე პირდაპირ ეთერში, სადაც დავეხმარებით კოვიდ 19-ის პანდემიის დროს დაზარალებულ ადამიანებს.

კონცერტი იქნება ცოცხალი შესრულებით, ჩვენი ბენდის უმაგრეს მუსიკოსებთან ერთად. სხვა არტისტებთან ერთად, ვისთანაც უახლეს პერიოდში ვითანამშრომლე და ასევე შესრულდება ახალი სიმღერები. იმედი მაქვს, ბევრი ადამიანი გაერთიანდება კარგი საქმისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განძის მაძიებლებმა ზღვის ფსკერზე ძვირფასი საათი იპოვეს



საბერძნეთის კუნძულ კორფუს მახლობლად, სანაპირო წყლებში, განძის მაძიებლებმა ძვირფასი საათი იპოვეს.

ბრიტანელი განძის მაძიებლები სტივენ კერშოუ და სიმონი ლითონმაძიებლით ზღვის ფსკერზე განძის ძებნით იყვნენ დაკავებული, რა დროსაც მათ შვეიცარიული ბრენდის Breitling-ის ძვირადღირებული საათი იპოვეს. ამის ამსახველ ვიდეოზე ჩანს, წყალში ყვინთვის დროს კერშოუს როგორ გამოაქვს ქვის ქვევიდან დაკარგული ძვირფასი ნივთი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საათი გარკვეული დროის განმავლობაში წყალში ეგდო, ის მუშაობას აგრძელებდა.

– ვიღაც საცოდავმა ის დაკარგა... და ახლა ხომ ჩვენ გვეკუთვნის? – ირონიულად განაცხადა განძის მაძიებელმა, რომელმაც საათი მარჯვენა ხელის მაჯაზე გაიკეთა და დაამატა, – ჩემს კოსტიუმს ძალიან უხდება.

პროდუქტების საყიდლად წასული მამაკაცი მილიონერი გახდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ გრეიამის მცხოვრებმა ლატარიაში მილიონიანი ჯეკპოტი პროდუქტების მაღაზიაში წასვლის წყალობით მოხსნა.

სტივენ ჰაუელის თქმით, მან პროდუქტების მაღაზიაში ოჯახისთვის სხვადასხვა პროდუქტის შესაძენად შეიარა და მათთან ერთად რამდენიმე ცხრადოლარიანი მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეიძინა. სახლში მისვლის შემდეგ ისინი შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი მათგანის წყალობით მილიონერი გახდა.

მოგებულმა თანხამ ერთი მილიონი დოლარი შეადგინა. ჰაუელმა გაიხსენა, რომ როგორც კი გაიგო, რომ მილიონი მოიგო, მაშინვე წამოხტა და გვერდით ოთახში შევარდა, რათა სასიხარულო ამბავი დედისთვის გაეზიარებინა.

– მე მას ლატარიის ბილეთი გავუწოდე, – იხსენებს გათამაშების გამარჯვებული, – და მან დაიყვირა: „შენ მილიონი დოლარი მოიგე!“

ჰაუელმა უკვე იზეიმა ოჯახთან ერთად მოგება და მოგებული თანხით ახალი მანქანის ყიდვას აპირებს.

ქალის თვალწინ ქორმა კატა გაიტაცა

ინგლისის ლინკოლნშირის საგრაფოს მკვიდრი ქალბატონი იმ შემთხვევის თვითმხილველი გახდა, როდესაც ქორმა კატა მოიტაცა.

ქალი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, დილით ძაღლს ასეირნებდა და შენიშნა, რომ თავზე ქორი დასტრიალებდა. შემდეგ მტაცებელი ფრინველი შორიახლოს ხეზე დაჯდა, მცირე ხნის შემდეგ კი უცბად გზაზე დაეშვა და ბრჭყალებით შავი კატა აიტაცა.

ქორი ნადავლთან ერთად გაფრინდა. თვითმხილველი მომხდარით გაოგნებული დარჩა, შემდეგ კი ეს ამბავი სოციალურ ქსელში გააზიარა. მისი თქმით, მას ამ მხარეში ქორები ერთიორჯერ თუ ჰყავს ნანახი და ისინი კურდღლებსა და მღრღნელებზე ნადირობდნენ.

ქალის თქმით, მტაცებელი ფრინველის ნადავლი პატარა შავი კატა გახდა.

– ეს იყო შავი კატა, პატარა და მოხდენილი, კნუტი არ ყოფილა, თუმცა არც მოზრდილი კატა იყო, – განაცხადა თვითმხილველმა.

ადგილობრივებმა, რომლებიც სოციალურ ქსელში ჯგუფის წევრები არიან, აღნიშნეს, რომ ახლა მათთვის გასაგები გახდა, თუ როგორ იკარგებიან ამ ბოლო დროს კატები ამ რაიონში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

ვიქტორ ფონტი ბარსელონის მომავალს ჩავიში ხედავს

2021 ბარსელონისთვის საარჩევნო წელიწადია. ოფიციალური თარიღი ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ, დიდი ალბათობით, კლუბი ახალ პრეზიდენტს ივნისში აირჩევს.

რა ვიცით ამჟამად? სადღეისოდ ოფიციალურად მხოლოდ 2 კანდიდატია – ვიქტორ ფონტი და ბარსას ყოფილი პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა.

გარკვეულია ისიც, რომ ჟოსეპ მარია ბართომეუ ბარსელონის პრეზიდენტობას მეორე ვადით არ აპირებს და, შესაბამისად, კლუბს ახალი პრეზიდენტი ეყოლება.

სხვა კანდიდატების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ლაპორტას განცხადება ინტერვიუს სახით გვეწერა. ვნახოთ, ვინ არის ფონტი, მიმოვიხილოთ მისი პროექტები.

ფონტის შესახებ 3 მთავარი რამ, რაც უნდა ვიცოდეთ: ის არის კატალონიელი; წინასაარჩევნო კამპანია 2 წლის წინ დაიწყო; ჩავის მხრიდან კეთილგანწყობით სარგებლობს;

ფონტს კლუბის რევოლუციური ცვლილება სურს და ხვდება, რომ ეს საკმაო დროსთანაა დაკავშირებული. სახელოვანი ფეხბურთელების მოყვანამდე, სჯერა, რომ უფრო მნიშვნელოვანი ისეთი მწვრთნელის დანიშვნაა, რომელიც „კამპ ნოუზე“ 2 წელზე დიდი ხნით დარჩება.

საქმე ის არის, რომ იოჰან კრუიფი უკანასკნელი სპეციალისტი იყო, რომელმაც გუნდში 5 სეზონზე მეტი იმუშავა, ბარსელონის მთავარი საძირკველიც სწორედ მისი მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა. ჰოლანდიელმა „ბლაუგრანაში“ 8 წელიწადი დაჰყო (1988-1996) და იყო ის, ვის დროსაც კლუბმა ჩემპიონთა ლიგის პირველი ტიტული მოიგო.

მას შემდეგ კატალონიელებმა 14 მწვრთნელი გამოიცვალეს, საიდანაც მხოლოდ 5 დარჩა 2 სეზონზე მეტი ხნით. ლუი ვან გალი (1997-2000), ფრანკ რაიკაარდი (2003-07), პეპ გვარდიოლა (2008-12), ლუის ენრიკე (2014-17) და ერნესტო ვალვერდე (2017-20).

ფონტს სჯერა, რომ დიდების იმავე მწვერვალზე დასაბრუნებლად გუნდს ჩავი უნდა ხელმძღვანელობდეს. სწორედ ის იქნება პირველი ადამიანი, რომელიც ფონტის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, „სიუტატ ესპორტივაზე“ დაბრუნდება.

– ჩვენ გვინდა, რომ ისეთი ადამიანისთვის, როგორიც ჩავია, შესაბამისი პირობები შევქმნათ, რათა მას 10 წლის განმავლობაში გუნდში მუშაობისთვის ავტორიტეტი ჰქონდეს. არ აქვს მნიშვნელობა მისი მოვალეობა პირველი გუნდის გაწვრთნა იქნება თუ სხვა რამ. რისი განხორციელების უფლებაც არ გვაქვს, ეს პეპ გვარდიოლას მსგავსი შემთხვევაა. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩავი მოვიდეს, გაწვრთნას, გუნდი გადაიწვას, მან კლუბი დატოვოს და ბოლოს კონკურენცია გაძლიერდეს.

თავის მხრივ, ჩავიმაც იცის ფონტის სიმპათიების შესახებ და მის პროგრამას მხარს ღიად უჭერს.

ჩავი ერნანდესი:

– მე და ფონტი მეგობრები ვართ. ერთმანეთს წლების წინ შევხვდით. ის სწორედ ბარსას შესაფერისი ადამიანია და, შესაძლოა, მომავალში კლუბისათვის მნიშვნელოვანი ფიგურაც გახდეს. ვიქტორი გამოცდილი პიროვნებაა ტელეკომუნიკაციების, მედიისა და ტექნოლოგიების სფეროში. ჩემი აზრით, შესაბამისი მართვის უნარები აქვს და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველამ სერიოზულად უნდა გაითვალისწინოს მისი კანდიდატურა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩავიმ, ვიქტორ ვალდესმა და კარლეს პუიოლმა საფეხბურთო კარიერა დაასრულეს, ფონტის აზრით, ისინი კლუბისთვის ისევ საჭირონი არიან.

მის პროგრამაში ვკითხულობთ:

– „უთხარი კი მომავალს“ არის პროგრამა, რომლის მიხედვითაც, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ კლუბის წარმატებაში, როცა მასზე თავად „ლა მასიაში“ აღზრდილები ზრუნავენ. გუნდი მაშინ გაძლიერდება, როდესაც კრუიფისდროინდელ გამარჯვებულის მენტალიტეტს აღიდგენს და დაიცავს. მაშასადამე, სწორედ ფეხბურთელები არიან ისინი, რომლებიც მართვას გუნდის საბჭოსაგან გადმოიბარებენ და თავად ეცდებიან უმნიშვნელოვანეს პოზიციებზე დაკისრებული მოვალეობებისთვის თავის გართმევას.

გუნდის ახლანდელ ხელმძღვანელობასაც ჰქონდა ანალოგიური იდეა, თუმცა ჩავისაგან, როგორც ვახსენეთ, არასათანადო დროის გამო უარი მიიღო, ხოლო პუიოლი გენერალური მენეჯერის თანამდებობას არ დასთანხმდა, რადგან ის უკვე სხვა პროექტებში იყო ჩართული.

რაც შეეხება ვალდესს, ის 19-წლამდელებს რამდენიმე თვის განმავლობაში წვრთნიდა, თუმცა პატრიკ კლუივერტთან უთანხმოების გამო გუნდის დატოვება მოუწია.

ლაპორტასაგან განსხვავებით, **ვიქტორ ფონტი**მესის მომავალზე უფრო ღიად საუბრობს.

– ვიმედოვნებ, რომ მომავალში მესის თამაშის ხილვის პატივი 3-4 წლის განმავლობაში ისევ მექნება, მაგრამ ჩვენ მისი კარიერის დასრულებაზეც ვფიქრობთ. ლეო კლუბში მნიშვნელოვან როლს მაინც შეინარჩუნებს. ძალიან კომპლექსური სიტუაციის წინაშე ვდგავართ. კლუბის საუკეთესო თაობა, მესის ლიდერობით, სრულად უნდა ჩანაცვლდეს. თან მაშინ, როდესაც ჩემპიონატების დონე საგრძნობლად იმატებს, კლუბებს შორის კონკურენცია ძლიერდება, ვინაიდან მათ სათავეში უფრო და უფრო მეტი მილიონერი, მაღალჩინოსანი თუ გავლენიანი ადამიანი მოდის.

ისევე, როგორც ლაპორტამ, ფონტმაც აღნიშნა, რომ მოქმედი ხელმძღვანელობა ფინანსურ საკითხებში აშკარად მოიკოჭლებს.

– ჩვენ ახლა მილიარდ დოლარს გამოვიმუშავებთ, მაგრამ არანაირი სარგებელი არ გაგვაჩნია, რადგან კლუბმა მილიარდი მაშინ დახარჯა, როდესაც რესურსები კაპიტალური ინვესტიციისთვის უნდა დაებანდებინა. გამოცდილება, რომელიც 2010 წელს მივიღე, ჩემი აქ ყოფნის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. ვნახე, თუ როგორ იყო პროექტი დაგეგმილი კლუბის სამართავად. სწრაფად და არჩევნებამდე 4-5 თვით ადრე იმპროვიზირებულად. საბჭოს წევრები უნდა იყვნენ თავიანთ საქმეში მკვეთრად ჩამოყალიბებულნი პროფესიონალებად და უნდა შეეძლოთ მძიმე გადაწყვეტილებების მიღება. მზად უნდა ვიყოთ ყველანაირი პროდუქტისა და მომსახურების, გართულების გარეშე გასაყიდად მთელი მსოფლიოს გარშემო მყოფი ბარსელონის თითოეული გულშემატკივრისათვის. კლუბის ახლანდელი ბიუჯეტი გარე აგენტებისა და შუამავლების გამო მკვეთრადაა შეზღუდული.

ფონტის შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელიც გამოცდილია და წინასაარჩევნო კამპანია დიდი ხნით ადრე აქვს დაწყებული. აქვს სამომავლო ხედვა და გრძელვადიანი პერსპექტივები.

რაც შეეხება ექსპრეზიდენტ ჟოან ლაპორტას, მან არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აპრილში გამოთქვა. პროგრამა ჯერ ჩამოყალიბებული არ აქვს, მაგრამ ფონტისაგან განსხვავებით, წარსულის გამოცდილება ზურგს უმაგრებს.

იმის გათვალისწინებით, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ 1 წელია, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამ რბოლას კიდევ რამდენიმე კანდიდატი შეუერთდება.

მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ემილი როუსაუდი, რომელიც ბართომეუს წარმატების გარანტად მოიაზრებოდა და ადრეულ გაზაფხულზე ვიცეპრეზიდენტადაც დაინიშნა, თუმცა მან აღნიშნული თანამდებობა უკვე დატოვა, რადგან პრეზიდენტი და მისი გარემოცვა კორუფციაში დაადანაშაულა.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ევროლიგა შეწყდა და ოქტომბერში იმავე შემადგენლობით განახლდება

საკალათბურთო ევროლიგამ გამოაცხადა, რომ მიმდინარე სეზონი აღარ გაგრძელდება. შესაბამისად, ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს 2020 წელს ჩემპიონი არ ეყოლება.

ტურნირის ვებგვერდზე განთავსებული ცნობის თანახმად, ევროლიგის მომდევნო სეზონი სტარტს 1 ოქტომბერს აიღებს, ევროთასის გათამაშება კი 30 სექტემბერს დაიწყება.

ასევე გაირკვა ისიც, რომ ყველა გუნდი, რომელიც ევროლიგის 2019-20 წლების სეზონში თამაშობდა, ევროპის უძლიერეს საკლუბო ტურნირში ადგილს შეინარჩუნებს, ამდენად, მომავალ სეზონში ისევ ამ გუნდებს ვიხილავთ:

ბარსელონა, ბასკონია, რეალი, ვალენსია (ყველა ესპანეთი), ოლიმპიაკოსი, პანათინაიკოსი (ორივე საბერძნეთი), ანადოლუ ეფესი, ფენერბაჰჩე (ორივე თურქეთი), მილანი (იტალია), ჟალგირისი (ლიტვა), ცსკა, ხიმკი, ზენიტი (ყველა რუსეთი), ალბა, ბაიერნი (ორივე გერმანია), ვილერბანი (საფრანგეთი), ცრვენა ზვეზდა (სერბეთი), მაკაბი (ისრაელი).

აღსანიშნავია, რომ ევროლიგის ხელმძღვანელობა სეზონის გაგრძელებით იყო დაინტერესებული და რამდენიმე ვარიანტს განიხილავდა, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კლუბების კაპიტნებთან და მოთამაშეებთან ვიდეოკონფერენცია შედგა, სადაც ნათლად გამოიკვეთა, რომ გუნდები სეზონის შეწყვეტას ემხრობოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ევროლიგის მიმდინარე გათამაშება მარტის დასაწყისში შეწყდა, როდესაც 28 ტურის თავზე ტურნირს 24 მოგებით თურქული ეფესი ლიდერობდა, შემდეგ კი, 22-22 გამარჯვებით რეალი და ბარსელონა მოდიოდნენ. თორნიკე შენგელიას ბასკონიას 12 მოგებით მე-13 ადგილი ეკავა, თუმცა, საფლეიოფო ზონას, რომელშიც 8 კლუბი შედიოდა, მხოლოდ 1 გამარჯვებით ჩამორჩებოდა.

ალკმაარი ჩემპიონთა ლიგის საგზურს ითხოვს

ნიდერლანდური ალკმაარი უეფასგან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს ითხოვს, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ აიაქსს მიაკუთვნა.

შეგახსენებთ, რომ ერედივიზიონი ევროპის პირველი ეროვნული ჩემპიონატი იყო, რომლის სეზონიც კორონავირუსის პანდემიის გამო გაუქმდა. ჩემპიონი არ გამოცხადებულა, სეზონს 56-56 ქულით აიაქსი და ალკმაარი ლიდერობდნენ. ერთნაირი ქულების შემთხვევაში კი ჰოლანდიაში მთავარი ბურთების სხვაობაა, რომელიც აიაქსის სასარგებლოდაა.

შედეგად, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური ნიდერლანდების ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა მიიღო, ხოლო ალკმაარს საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა მოუწევს. ალკმაარში მიაჩნიათ, რომ ეს დიდი უსამართლობაა, რადგან შეწყვეტილ ჩემპიონატში საგზურის ბედი ამის მიხედვით გადაწყდა. კლუბის არგუმენტს ამაგრებს ისიც, რომ ჩემპიონატში გუნდმა აიაქსს ორივე დაპირისპირება მოუგო.

ალკმაარმა უკვე მიმართა უეფასა და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას, რათა ეს საკითხი განიხილონ, თუმცა უეფას მიერ დადგენილი რეგულაციით, ევროთასების საგზურის ბედს შეწყვეტილ ჩემპიონატში ეროვნული

ფედერაცია გადაწყვეტს. უეფას მხოლოდ განხილვა შეუძლია, რამდენად სამართლიანად მოხდა ეს განაწილება.

შეგახსენებთ, რომ ნიდერლანდების ჩემპიონატიდან მხოლოდ გამარჯვებული ხვდება უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მეორე ადგილზე გასულს კი საკვალიფიკაციო ტურნირი ელის.

ათეულობით თევზმა ხმელეთზე გაისეირნა

ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ქალაქ ჩაოჩჟოუში ათეულობით თევზი ამოვიდა წყლიდან და ხმელეთზე სხვა წყალსატევისკენ გახოხდა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამის ამსახველი კადრები ერთ-ერთმა საინფორმაციო საგენტომ გამოაქვეყნა.

ანაბასებმა, რომლებიც ასევე მხოხავი თევზების სახელით არიან ცნობილნი, თავიანთი წყალსატევი წვიმის შემდეგ წყლის ხარისხის გაუარესების გამო დატოვეს. ისინი გადასაადგილებლად ფარფლებს იყენებენ და ასე გაეშურნენ უკეთესი საარსებო გარემოს მოსაძებნად.

თევზი ანაბასი სამხრეთ აზიასა და ფილიპინების კუნძულებზეა გავრცელებული. სპეციალური სუნთქვის ორგანოს წყალობით მათ უწყლოდ გაძლება ექვსიდან ათ დღემდე შეუძლიათ. ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ისინი არა მარტო ხმელეთზე ამოსულან, არამედ ხეზეც კი აცოცებულან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მთა თბილისში; 2. ბუდიზმის მითიური დამაარსებელი; 3. გადაჭარბებული სიყვარული ყოველივე ფრანგულისა; 4. მთავარი მოედანი მილანში; 5. ხელოვნური აბრეშუმი; 8. რიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 9. მრავალხმიანობა მუსიკაში; 12. ქალაქი იტალიაში, სადაც ტარდება საოპერო მომღერლების საერთაშორისო ფესტივალი; 14. ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი; 16. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში.

თარაზულად: 1. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 7. რბილი, ხაოიანი ზედაპირის მქონე, მკვრივი აბრეშუმის ქსოვილი; 9. დათქმული საიდუმლო სიტყვა, ფრაზა; 10. ტბა იტალიის ჩრდილოეთში; 11. აჭარული ხის სახლი; 13. ესპანური სპორტული გაზეთი; 15. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 17. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 18. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 19. ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 20. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იერუსალიმი; 2. კარეტა; 3. კარცერი; 4. „კიევო“; 5. დედვეიტი; 6. აიეტი; 7. ბიგამია; 9. დონორი; 13. საბზა; 17. „ვიში“; 18. აბე.

თარაზულად: 1. იამაიკა; 3. კასიკი; 8. ლევილი; 10. პეტიცია; 11. ისანი; 12. პორტერი; 14. ელარჯი; 15. „სპირალი“; 16. ტყვია; 19. აბზაცი; 20. კირთაძე; 21. ჩაფიძე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაჩანა; 2. ევრო; 3. დემაგოგია; 4. ბზიფი; 5. „დარნიცა“; 8. ვეზუვი; 9. ბალისტიკა; 12. სალათი; 14. აილამა; 16. „ულისე“.

თარაზულად: 1. ბაბანეური; 6. გეოდეზია; 7. „ჩხავერი“; 9. ბორანო; 10. ფიტი; 11. გურიელი; 13. ფრაზა; 15. მალიბუ; 17. კაპრალი; 18. მანათი; 19. პრემია; 20. ლებარდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1916

ევრო — 3.4801

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8890

100 რუსული რუბლი — 4.4615

ამინდის პროგნოზი 27 მაისისთვის

სერხიო რამოსი: „სეზონის განახლება ყველას გვინდა“



მადრიდის რეალის მცველმა სერხიო რამოსმა სეზონის განახლებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ძალიან უნდა, ეს მალე მოხდეს.

რამოსის თქმით, ყველა ფეხბურთელს მოენატრა თამაში და ეს მხოლოდ რამოსს არ ეხება:

– ეს თვეები სახლებში, ოჯახებთან გავატარეთ და ნამდვილად არ იყო ცუდი, მაგრამ, მოვიდა დრო, ვაკეთოთ ის, რაც ყველაზე მეტად გვსიამოვნებს და რაც ჩვენი საქმეა. მინდა, სეზონი მალე განახლდეს და რეალი სათამაშოდ მზად არის.

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი, დიდი ალბათობით, 13 ივნისს განახლდება.

ინგლისში სეზონის განახლების თარიღი მაისის ბოლოს გახდება ცნობილი

ინგლისის ჩემპიონატის განახლების თაობაზე აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები გუნდებსა და საფეხბურთო ფედერაციას შორის და რამდენიმე დღეში ოფიციალურად გამოცხადდება თარიღი თუ როდის უნდა განახლდეს პრემიერლიგა.

სავარაუდოდ ეს ერთი თვის შემდეგ მოხდება, რადგან ინგლისში ჯერ კიდევ საკმაოდ რთული სიტუაციაა კორონავირუსთან დაკავშირებით. ასევე რამდენიმე ფეხბურთელმა ვარჯიშზე უარი განაცხადა, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ ეს უსაფრთხო არ არის.

დუგლას კოშტა: „ზოგჯერ კარიერის დასრულებაზე ვფიქრობ“

იუვენტუსის ბრაზილიელმა შემტევმა დუგლას კოშტამ განაცხადა, რომ ტრავმების გამო ზოგჯერ ის ფიქრობს, დროა, კარიერა დაასრულოს, თუმცა თავის გადაწყვეტილებას ცვლის ხოლმე. კოშტას თქმით, მისთვის რთულია, როდესაც თამაშებს ტელევიზორში უყურებს და თავის გუნდს ვერ ეხმარება:

– ყოველთვის, როდესაც ტრავმას ვიღებ, ჩემს თავს ვეკითხები, თუ რა გავაკეთე არასწორად, მაგრამ პასუხი არ მაქვს. ზოგჯერ ტრავმების გამო კარიერის დასრულებაზეც ვფიქრობ, თუმცა ეს აზრები მალე მიქრება, რადგან ფეხბურთი ძალიან მიყვარს.

რომას ყოფილი ფეხბურთელი გულის შეტევით გარდაიცვალა

რომას ყოფილი ფეხბურთელი, კამერუნელი ჟოზეფ ბუასე, 21 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა. ჯერჯერობით უცნობია, რამ გამოიწვია გულის შეტევა.

ბუასემ რომაში მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა და გუნდი 2018 წელს დატოვა. ბოლო სეზონი ის რუმინული კლუჟის ფეხბურთელი იყო.

კლუჟმა უკვე გამოაქვეყნა განცხადება და ფეხბურთელის ახლობლებს მიუსამძიმრა.

მოამზადა ბექა ბოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

27 მაისისთვის

ვერძი – დღეს ყველა მნიშვნელოვანი საქმე გადადეთ. ფიზიკურ დატვირთვას მაქსიმალურად ერიდეთ. **კურო** – დაკავდით სპორტით. შემოსავალი გეზრდებათ. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურია. **ტყუპები** – მოუგვარებელი პრობლემების გამო კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. მძიმე დღეა. **კირჩხიბი** – ნანატრი წარმატება მოდის. პლანეტები თქვენ მიმართ ძალზე კეთილგანწყობილნი არიან. **ლომი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. გელით საინტერესო და პერსპექტიული შემოთავაზება. **ქალწული** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. იყავით კეთილსინდისიერი და ოპტიმისტი. **სასწორი** – ნებისმიერი გამონათქვამი და ქცევა აკონტროლეთ. წინდაუხედაობა ცუდ შედეგს გამოიღებს. **ღრიანკალი** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. არაფერი გაწუხებთ. ოჯახის წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – საქმეში ახალი პარტნიორები ჩართეთ. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **თხის რქა** – თქვენი აქტიურობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. შრომა დაგიფასდებათ. **მერწყული** – ყოველდღიური რუტინა დაგქანცავთ. დროა დაისვენოთ, შეიცვალოთ გარემო. **თევზები** – საქმეში ცვლილებებია შესატანი. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით, ნუ აჩქარდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

კაცი ცხოველების ბაზრობაზე ძაღლს ყიდის. მყიდველი ეკითხება:

– ჯანმრთელია?

– კი, ჯანმრთელია.

– ჭკვიანია?

– კი, ძალიან ჭკვიანია.

– ერთგულია?

– უერთგულესი. უკვე მეხუთედ ვყიდი.

•••

ნარკომანი ჯოჯოხეთში მოხვდა. ხედავს, პლანის პლანტაციაა. დაავლო ხელი ცელს და თიბვა დაიწყო. ამ დროს ხმა ჩაესმის:

– რას აკეთებ, შეიშალე? აგერ იქ უკვე მოთიბული და გამხმარი აწყვია.

მიირბინა და შესაკეთებლად გამზადება დაუწყო. ამ დროს ისევ ხმა ჩაესმის:

– რას აკეთებ, გამოშტერდი? აგერ იქ უკვე შესაკეთებლად გამზადებულები აწყვია.

ნარკომანმა ახლა იქ მიირბინა და, ის იყო, შეკეთება დაუწყო, რომ ისევ ხმა ეუბნება:

– სულ გამოთაყვანდი? აგერ იქ უკვე გამზადებულები აწყვია.

მიირბინა გახარებულმა, აიღო შეკეთებული და ჯიბეზე ხელი დაირტყა, ასანთი კი არ აქვს და კითხულობს:

– გესმის? ასანთი არ გაქვს?

– შენ რა, სულ გააფრინე? ასანთი რომ ყოფილიყო, ეს რაღა ჯოჯოხეთი იქნებოდა.

•••

მატარებლის კუპეში კაცი ქალს ეკითხება:

– რას იტყოდით, ჰაეროვანი კოცნა რომ გამოგიგზავნოთ?

– რომ დიდი უქნარა ხართ!...

•••

ერთი ფერმერი მეორეს ესტუმრა და ეკითხება:

– შენი მამალი შარვალში გამოწყობილი რატომ დადის?

– ცოლმა შემთხვევით მდუღარე გადაასხა და უკან ბუმბულები გასცვივდა, ხოლო ზამთარში რომ არ გაყინულიყო, შარვალი შევუკერეთ...

– კი მაგრამ, აქამდე აღარ ამოსვლია ბუმბული?

– როგორ არა, ბუმბული ამოუვიდა, მაგრამ, იცი, რა მაგარი სანახავია, როდესაც ცალი ფეხით ქათამს იჭერს, მეორით კი შარვალს იძრობს!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეროვნული დროშის დარბაზი გაიხსნა



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ეროვნული დროშის დარბაზი გაიხსნა.

ეროვნული დროშის დარბაზი დაერქვა ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში გუდიაშვილის 7 ნომერში მდებარე საკონფერენციო სივრცეს, რომელიც მთლიანად განახლდა.

დარბაზში გამოფენილია შუა საუკუნეების ევროპული საზღვაო რუკების ბეჭდური ვერსიები. ევროპელი კარტოგრაფები თავიანთ რუკებზე საქართველოს ტერიტორიის აღსანიშნავად ხუთჯვრიან დროშას იყენებდნენ. მასალა ეროვნულ ბიბლიოთეკას ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ გადასცა. ასევე წარმოდგენილია იმ ხუთჯვრიანი დროშის ორიგინალი. დროშა ეროვნულ ბიბლიოთეკას ყოფილმა დეპუტატმა კობა ამირხანაშვილმა გადასცა, რომელიც 2004 წელს დაამტკიცა პარლამენტმა. ექსპოზიცია მუდმივმოქმედია და მისი დათვალიერება მსურველებს დაწესებული შეზღუდვების შემდეგ შეეძლებათ.

ანტონ ბალანჩივაძეს თბილისში „ევრაზიის თაღის“ აღმართვა სურს

მხატვარ ანტონ ბალანჩივაძეს თბილისში „ევრაზიის თაღის“ აღმართვა სურს. პროექტზე ხელოვანი 10 წელია მუშაობს, თუმცა ფართო საზოგადოებას თავისი ჩანაფიქრი მხოლოდ ახლა გაანდო:

– მინდა, წარმოგიდგინოთ პროექტი „ევრაზიის თაღი“, რომელზეც 10 წელია ვფიქრობ და ვმუშაობ. მჯერა, ამ პროექტის ხარჯზე ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება ძლიერი ბიძგი მიიღოს განვითარებისთვის, ახალი პერსპექტივა – ყველა დარგში და სფეროში, იქნება ეს სულიერი, ეკონომიკური თუ პოლიტიკური. მჯერა მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისა და მისი შესაბამისობის საქართველოს ისტორიულ, გეოგრაფიულ და სულიერ მისიასთან.

დღეს მისი საჯაროდ გამოტანა გადავწყვიტე. თუნდაც ამგვარი, დაუსრულებელი სახით, რადგან ამ ეტაპზე, სპონსორებისა და კეთილი ნების ადამიანთა ჩართულობის გარეშე შეუძლებელი ხდება მისი სამომავლო განვითარება.

როგორი რთულიც არ უნდა მოეჩვენოს განსახორციელებლად ეს ვინმეს, მთავარი და გადამწყვეტი იქნება, მიიღებს თუ არა მას დღეს საზოგადოება.

თაღის სილუეტი, რომელსაც იხილავთ ვიდეოში, 2011 წელს შეიქმნა. მას თავისი ისტორია აქვს. ეს ფორმა შემთხვევითი არაა. ამიტომ ამ ჩანაწერის დამატებითი მიზანი ისიცაა, რომ ერთგვარად „დაპატენტდეს“ ზუსტად ეს კონკრეტული ფორმა იდეასთან კავშირში.

ზურა დოიჯაშვილის მხარდასაჭერად პეტიცია შეიქმნა

მომღერალ ზურა დოიჯაშვილის მხარდასაჭერად მისმა კოლეგებმა და მეგობრებმა პეტიცია შექმნეს, ინტერნეტში განათავსეს, საზოგადოებას მისი ხელმოწერა სთხოვეს და თბილისის მერს მიმართეს:

– საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული ქართველი მომღერალი, მუსიკოსი, თავისი საქმის უდავო პროფესიონალი, გამორჩეული ხმის ტემბრის ქართველი ვარსკვლავი, კოლორიტი თბილისელი, ზურა დოიჯაშვილი, ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთ კლინიკაში იმყოფება ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესების გამო. ის დღემდე აპარატზეა მიერთებული, თუმცა ებრაელი ექიმები ზურა დოიჯაშვილის გამოჯანმრთელების საქმეში ძალ-ღონეს არ იშურებენ და ახლობლებსაც გვაიმედებენ.

რაც შეეხება ჩვენს კონკრეტულ თხოვნას თქვენთან: ზურა დოიჯაშვილს თბილისში უკვე აღარ აქვს საცხოვრებელი. მათი პირადი პრობლემის გამო ისინი 1 წლის წინ დარჩნენ ამ მდგომარეობაში და ოჯახით მოუწიათ ისრაელში გადასვლა. ზურას ოჯახს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებასთან ერთად, თან დაერთო მსოფლიო პანდემია და გლობალური კრიზისი.

გთხოვთ, თბილისში მას და მის ოჯახს გადასცეთ საცხოვრებელი ფართი, სადაც ზურა დაბრუნდება ოჯახთან ერთად და გააგრძელებს თავის საყვარელ ქალაქში ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ისევ ისეთი ენერგიული და მოტივირებული, როგორც აქამდე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი“ აღმოჩენილია

რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი“ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ლევან თაქთაქიშვილმა აღმოაჩინა:

– ერთი ამბავი უნდა გამცნოთ: ვიპოვე ბარათაშვილის დღემდე ძიებაში მყოფი პოემა „ივერიელნი“. ვარ ბედნიერი, რომ წილად მხვდა ამ საიდუმლოს გადაჭრა. იმედია, ეს ამბავი გაგიხარდებათ.

იმასაც გეტყვით, რომ ის არც სადმე წიგნთსაცავში მინახავს, არც ბუკინისტურ მაღაზიაში მიყიდია. მას სრულიად უსასყიდლოდ მივაგენი. ერთადერთი სასყიდელი იყო ჩემი დაჟინებული სურვილი, დამთავრებულიყო ჩემი ერის ლოდინი ამ პოემის მიგნებისა. გასაოცარი და კურიოზული ისაა, რომ ეს პოემა გამოქვეყნებული იყო, ჩვენ კი ვეძებდით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ესპანელი მწერალი; 2. ტერიტორიული ერთეული საფრანგეთში; 3. ტროპიკებში გავრცელებული შხამიანი ობობა; 4. ხის ზედა, განტოტვილი ნაწილი; 5. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 6. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 7. ქართლში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 9. დიდი, დასადგამი სარკე; 13. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 17. ცხენების ჯოგი; 18. თევზის ძვალი.

თარაზულად: 1. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 3. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 8. მუსიკალური ნაწარმოები; 10. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 11. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 12. მინერალი, მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა; 14. პოლიგრაფიული საწარმო; 15. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 16. გემთმშენებელი საწარმო; 19. კაზაკთა სოფელი; 20. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 21. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა